საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 ივნისი, 2014 წელი.

№123 (7504)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ოჩი ოჩი?!

③

ღმერთმა ნუ ქნას, ერთ ქართულ ანდაზას მალე მეორე აღრესატიც გაუჩნდეს!

მოშვებულნი ალმოსავალს, ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ

②

სულხან-საბას კვალდაკვალ ევროპაში

⑨

ასე ტკბილად ნაღდად ვერ დავბერდებით!

⑥

რევაზ გაჩეჩილაძე:

ამერიკა ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის ინტერესს წარმოადგენს ყველაფერი, რაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ხდება

④

ციებ-ცხელება გრილ ივნისში

⑪



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიანჩალიანი

„აწარმოე საქართველოში“

საქართველოში უახლოეს მომავალში სამი ახალი საწარმო შეიქმნება. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიციირებული პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მთავრობამ სხდომაზე კიდევ სამი ახალი პროექტი დაამტკიცა.

თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში ქაღალდისა და არამოქსოვილი მასალისგან შესაფუთი და ერთჯერადი მოხმარების პროდუქციის საწარმო აშენდება, რისთვისაც ინდმეწარმე ეკატერინე აბრამიას, მთავრობის განკარგულებით, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე (ნაკვ.14/579) არსებული 2587კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 31-2 შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 385,09 კვ.მ. ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცა.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში კი ხილის, კენკროვნების და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება. ამ მიზნით, მთავრობის განკარგულებით, შპს „ჯეო კონცენტრატს“ ერთ ლარად გადაეცემა სოფელ კარალეთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 20 067 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა პროექტი, რომლის თანახმად, პლასტმასის მწარმოებელი საწარმოს მშენებლობის მიზნით, შპს „ჯეოკეპს“ საკუთრებაში გადაეცემა თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 15 003 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

დაფინანსებულმა საწარმოებმა წარმოების პროფილი წარმოების დაწყებიდან სულ მცირე, ორი წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნონ.

მთავრობამ საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი მიიღო

შესაბამისი დადგენილება მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცეს. საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს უფროსის ეკა ქარდავას განცხადებით, დადგენილების მიღება აუცილებელი გახდა იმიტომ, რომ კანონში არაერთგვაროვნად იყო ასახული აღნიშნული საკითხი და პრემიერ-მინისტრმა ჩათვალა საჭიროდ, რომ იგი დარეგულირებულიყო.

ეკა ქარდავას თქმით, პრემიების გაცემის ახალი წესი შეეხება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს, მათ შორის, უმაღლესი თანამდებობის პირებს. ასე საკუთარ თავზე პრემიის გამოწერის შესაძლებობა აიკრძალება.

— ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივ სარგოს, ინიციირების უფლება აქვს უწყების ხელმძღვანელს და გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს დაწესებულების ხელმძღვანელს, ამ შემთხვევაში მინისტრს, — განაცხადა ეკატერინე ქარდავამ.

რა დაჯდება არჩევნების მეორე ტური?

საქართველოს 8 თვითმმართველ ქალაქსა და 13 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის გამართვის მიზნით 5 756 000 ლარი დაიხარჯება.

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ მინისტრთა კაბინეტმა გუშინ იმსჯელა.

მთავრობის განკარგულებით, არჩევნების მეორე ტურის გამართვის დაფინანსების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3 მილიონ ლარს მიიღებს. 2 537 000 ათასი ლარის ოდენობის ფინანსური რესურსი გააჩნია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის საკომპენსაციო რესურსს, რომელიც საარჩევნო სუბიექტებმა კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მიიღონ, წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნული თანხის მოცულობა ჯამურად 1 660 000 ლარს შეადგენს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამის დაფინანსებას თანხის მოცულობის დაზუსტების შემდეგ გამოყოფს.

◎ არქივი

მოუვებულნი აღმოსავალს, ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ

ვბეჭდავთ გრიგოლ რობაქიძის სიტყვას 1920 წელს თქმულს ევროპის სოციალისტების დელეგაციის თბილისში სტუმრობის დროს. სტატიის პათოსი სრულად შეეფერება დღეს, 27 ივნისს, ვეროპასთან ასოციირების ხელმოწერის თემას.

მაღალნო სტუმარნო!

ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევით მოვლენილი.

ორი ათასი წლის ქართველნი, ბუნებით დაუდეგარნი, გელოდებოდათ თქვენ: რჩეულ შვილებს დასავლეთისას.

ჩვენ ვცხოვრობდით მცირე აზიის გახურებულს შუაგულში და მზით მოთენთილნი ვგრძნობდით ჩვენ მთვლემარე ღმერთებს გარუჯულ ქვებში.

ჩვენში იყო ანთებული ხილვა აღმოსავლური.

მაგრამ ჩვენ ვერ გავუძელით აღმოსავლეთის დიდი შუადღის ავხორცობას და გამოვეშურეთ ჩრდილოეთისაკენ. ჩვენ გამოვიარეთ ცხელი ველები ქალდეასი და კავკასიონის მანელებელ კალთებს შევაფარეთ თავი.

იყო იმთავითვე ჩვენს რასსიულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ეგუებოდა აღმოსავლურს მოდუნებას. ფიქრმორეულ თვლემასთან ერთად ჩვენს ხასიათში იწვოდა თესლი დასავლური ნების ამახვილებისა.

ჩვენ ვიყავით პირველნი მომგონნი ფოლადისა და ჩვენი ხასიათის რკინეული ელემენტები ვერ ეთვისა საბოლოვოდ მოთენთასა, თუ გინდ ღმერთების ძილში გადასულს.

და: მოშვებულნი აღმოსავალს, ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ.

ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი ისტორიის: ამ ლტოლვილებით არის ყვითურად (!) დადაღული ყოველი მოქნევა ჩვენი შემოქმედების.

ახლაც გაისმის ყიჟინი და როკვა გარდასულ ნადიმის. სრული ხელმწიფება პიროვნების და სოციალურ სიცოცხლეში რჩეულობა. სხეულის სილამაზის კულტი. მარადი ქალური სიყვარულით აშარავანდებული. თაყვანი უზომო მეგობრების: რაინდის ხმალზე ათამაშებული. ყველა ის მოტივები, რომლებიც შემდეგ იტალიურმა რენესსანსმა მაგარ სურნელოვანი ყვავილებით გაახმაურა.

მაგრამ ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის — არა საშიშარი მისტიური საშინელებით, არამედ საზარელი მაღალი პათოსის არქონებით, და ვერც მომწიფებაში ავსცილდით ჩვენ მას.

მონგოლურმა ურდოებმა, აღმოსავლეთით მოვარდნილმა, სასტიკი მახვილით გასწყვიტეს ლხინით გადაზნექილი წელი ნათელი ქორწილის.

და ჩვენ შევჩერდით შუა გზაზე;

აღმოსავლეთსაც მოვსცილდით და ვერც დასავლეთს ვეზიარეთ.

მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ შუა გზაზე ყოფნით.

მაგრამ ჩვენ მეომარნი ვართ იმ თავითვე და გვიყვარს ომში ხმალის დატრიალება. ჩვენ მხედარნი ვართ დაბადებით და ესპანელებივით გვიყვარს შეუძლებელის გადალახვა. ჩვენ მეოცნებენი ვართ გაუსწორებელნი და გვესმის ღიმილი პარიზის ქიმერებისა ნოტრ-დამის კათედრალს რომ დასევიან.

და ჩვენ მუდამ გვაცოცხლებს შორეული და უცნაური.

ჩვენ მოვინდომეთ ორი ქვეყნის შეუღლება და, რასაკვირველია, ხალხთა შეერთებას უფრო მოვისურვებდით. ეს არის, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ „ინტერნაციონალის“ ხმა არსად ისე სიხარულით არ გადავარდნილა როგორაც ჩვენში.

ჩვენ ჯერ მანქანებიც არ აგვიმოძრავებია, მაგრამ სოციალური სამართლიანობისათვის მაინც ვიბრძვით. ეს პარადოქსია ისტორიული, მაგრამ ჩვენი ისტორიაც უცნაურობითაა ხომ დაგრეხილი.

ბუნებით მეომარნი ჩვენ გადავიქეცით რევოლუციონერებათ. რუსეთის რევოლუცია ჩვენმა შვილებმა გაიტანეს, — და როცა სპარსეთს დასჭირდა ამბოხება, სათავეში მას ჩვენი გადავარდნილი გმირები მოექცენ.

ლიტერატურაც ჩვენი მხოლოდ კეთილშობილებისა და რჩეულობის ხაზებით იყო ამეტყველებული. მისი დევიზი „სულის ინტერნაციონალად“ ისახებოდა და, ცხადია, მისთვის კლასსიური საზღვრების გადალახვაც იყო ადვილი.

ჩვენში არის მრავალი ლიტერატურული ჯგუფი ერთიმეორის მეომარი. მაგრამ არ არსებობს არც ერთი მწერალი, რომელიც ალმაცერად უცქერდეს სოციალურს იდეალს.

უმეტესი ჩვენგანნი სოციალიზმს უცქერის ისე, როგორც ოსკარ უაილდ, მედიდური და ბრწყინვალე გენია დიდი ბრიტანეთის, — ან ისე, როგორც ანატოლ ფრანს, სკეფსისით დახვეწილი გენია ლატინთა რასსის. ხოლო ყველას გვესმის სპილენძის საყვირები ემილ ვერხარნის სადაც იძვრიან მძიმე რიტმები, დიდრონ მასსათა მიერ აგორებულნი.

დღეს შევხვდით ჩვენ ერთმანეთს და ამიერიდგან ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის.

ჩვენ ვიცით სადავეს მოშვება, მაგრამ გვეძნელება თავშეკავება: — თქვენგან უნდა ვისწავლოთ იგი.

ჩვენ ვიცით მზით დაღალული ხილვა, მაგრამ არ გვესმის მაგარი სილლოგიზმი: — თქვენგან უნდა შევითვისოთ იგი.

ჩვენ ვიცით ლხენა და უდარდელობა, მაგრამ შორს არის ჩვენგან რკინისა და ჯავშანის ორგია: თქვენგან უნდა მივიღოთ იგი.

თქვენ მოგვცემთ ჩვენ უძლეველობით გაჭედილსა და გამართულს ნებას, — ჩვენ მას გავაცხელებთ ცეცხლეული ტემპერამენტით.

თქვენ შემოიტანთ ჩვენში ცივსა და მძიმე სისტემებს, — ჩვენ მას შევსვამთ მზით აპრიალებულ აზარფეშებით.

თაყვანი თქვენ, მაღალნო და ძვირფასო სტუმარნო, ქართველ მწერალთაგან. თქვენი მოსვლა ამღერდება ჩვენს ზომაგადასულ შაირებში.

„ბარრიკადა“, № 1,
ორშაბათი, 18 ოქტომბერი, 1920 წ.

რუსეთი „თავდაცვითი ზომებით“ გვემუქრება

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანონებით განსაზღვრულ თავდაცვით ზომებს მიიღებს, თუ ევროკავშირთან შეთანხმებას ნეგატიური შედეგები ექნება დსთ-ს თავისუფალი სავაჭრო ზონისთვის. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

— როგორც კი ძალაში შევა ასოციირების შეთანხმება და ჩვენ გავაანალიზებთ, რომ ეს ნეგატიურად აისახება დსთ-ს თავისუფალ სავაჭრო ზონაზე, იმ პირობებზე, რა პირობებითაც ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გავწევრიანდით, რუსეთი თავდაცვით ზომებს მიიღებს, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, რუსეთი მზად არის ნებისმიერი სახის კონსულტაციებისთვის და მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს.

— ჩვენ არა მხოლოდ მზად ვართ, არამედ მოვუწოდებთ მათ მოლაპარაკებებისკენ. ბაროზუ ჩვენს პრეზიდენტს სატელეფონო საუბრისას დაპირდა კიდეც, რომ სამიტამდე აუცილებლად გაიმართებოდა კონსულტაციები, მაგრამ ჯერ არაფერი ხდება, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

რას გადაწყვეტს სტრასბურგი რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის ფაქტზე?

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ შეტანილ სარჩელზე განაჩენს 3 ივლისს გამოაცხადებს. სარჩელი რუსეთიდან ეთნიკური ქართველების დეპორტაციას უკავშირდება.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი განაცხადი 2007 წლის 26 მარტს წარადგინა. სარჩელი 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციიდან ასობით ქართველის კოლექტიურად დეპორტაციას ეხება.

2011 წელს საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეებმა სტრასბურგში მოწმეების ჩვენება მოისმინეს, 2012 წლის ივნისში კი, საჯარო მოსმენა გაიმართა.

ამასთან, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ მეორე სარჩელიც აქვს შეტანილი 2008 წლის აგვისტოს ომის თაობაზე, რომელზეც განაჩენი ევროპის სასამართლოს ჯერ არ გამოუტანია.

ინტერპრესი

ოჩი ოოჩი?!

ღმერთმა ნუ ქნას, ერთ ქართულ ანდაზას მალე მეორე აღრესატიც გაუჩნდეს!

— ეს სულაც არ არის შემთხვევა, როდესაც კაცმა, შეიძლება, გაიხსენო ანდაზა, — ღორმა ღორს უთხრა, შე დინგიანოო, — რადგან აქ მეორე ღორს ვერ ვხედავ-მეთქი.

ეს საპარლამენტო არჩევნებში ახალდამარცხებული გნაცმოძრაობის მისამართით ვთქვი, რომლის უტიფარი წარმომადგენლები მათთვის ორგანულად დამახასიათებელი სიურცხვით აბრალებდნენ „ოცნებას“ იმას, რაც ამ უკანასკნელს არც ჩაედინა, ხოლო თავად გნაცები, ქვეყნისთვის ბევრი რამით საზიანო თავიანთი ზეობისას, ლამის ყოველ ნაბიჯზე სჩადიოდნენ.

ახლა კი! თუმცა, ამაზე ქვემოთ...

მართლაც არ გათეთრდების ყორანი!... ან სად არის იმდენი ქვიშა!! ისე, ადამიანისთვის შეუძლებელი, დასტურ, არაფერია, მაგრამ შავ ზღვას უპლაჟოდ ხომ არ დავტოვებთ?!?!

თუმცა, შავი ზღვის პლაჟის კი არა, ჩვენი ყველა ბუნებრივი თუ ხელოვნური წყალსატევის ქვიშაც რომ მივამატოთ, **თუნდაც იმ ორ „ყორანს“ გავათეთრებთ ოდნავ მაინც, სამშაბათს „რუსთავი-2“-ზე თოქშოუ „არჩევანს“ რომ სტუმრობდნენ?**

მართლა, ღმერთი სულ არა გწამთ, თქვე უღმერთებო? ხათუნა როგორ..., უკაცრავად, გოგორიშვილი უნდა საუბრობდეს სამართლიან-დემოკრატიული არჩევნების აუცილებლობაზე და მათი გაყალბებისთვის (თუნდაც ამის საფუძველიც ჰქონდეს!) საყვედურობდეს ვინმეს?!

ან იმასვე უნდა აკეთებდეს თუნდაც „ქართვლის დედის“ „ნათლიობით“ ავად სახელგანსმენილი მართლაც ჭია(ბერაშვილი) ზურაბი, რომლის ცესკოს თავმჯდომარეობისეული ხანის არჩევნების „დემოკრატიული გამონათებები“ ყველას კარგად გვახსოვს?

უნამუსოთა უნამუსობას მართლაც არა აქვს საზღვარი!

არ ვიცი, კონკრეტულად რის გამო გამწარებამ დააწერინა პოეტს, ან სახელდობრ ვის გულისხმობდა დღევანდელობით შეწუხებული ერთი ჩვენი თანამემამულე, იმისი ნაწერი რომ წამოაძახებინა — **რად არ გასკდები, დედამიწავ, და არ ჩამიტან, ამდენ თახსირთან პურს რომ მაჭმევ ერთი ჯამიდან!**

— რას ვიზამთ, ჩემო იმანო, — მინდა, ვუთხრა იმ თანამემამულეს, ძალიანაც მესმის შენი, მაგრამ გვიწევს ერთად ცხოვრება — უცხოელმა „მოკეთეებმა“, კოაბიტაცია ჰქმენითო!

ჰოდა, უნდა მოვითმინოთ!

სანამდე? ზურაბის (ამ ჭიასი კი არა, სურამელისა) არ იყოს, — „ვაიმე, დედა, ყელამდე“ ვართ უკვე?

რას ვიზამთ, მაინც უნდა მოვითმინოთ!

მართალია, არჩევამდე კი გვპირდებოდა პლასტელინობის მოსურნე და ფეშენებლობის მოძულე გიორგი მარგველაშვილი, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთანავე წერტილი დაესმება ჩვენთვის ძალად თავსმოხვეულ კოაბიტაციასო, მაგრამ აირჩიეს თუ არა, პლასტელინიანობას „რკინის კაცობა“ ამჯობინა, ორიოდ ოთახიან ოფისს კი — ამერიკის თეთრ სახლს გაჯიბრებული საა-კაშვილისეული რეზიდენცია!

ახლა მთავრობა გვპირდება, ჩათავდეს ეს თვითმმართველობის არჩევნებიო და...

აღდგომა და ხვალეო!

თუმცა, ჩემდა უნებურად, ძალიან გამქცევია კალამი: გნაცმოძრაობელთა ავკაცობა-უტიფრობის დაწვრილებით ჩამოთვლას რა აზრი აქვს. ან, რომც ჰქონდეს, რა გაზეთი დაიტევს!

ამიტომაც იმ საკითხზე გადავალ, რამაც კალამი ამაღებინა.

დიდი აურზაური ატეხეს ნაციონალებმა, თურმე, „ინკასატორად“ გამზადებული ირმა ნადირაშვილის პირით — „ოცნების“ მაღალჩინოსნები ბიუჯეტის ხარჯზე უზარმაზარ პრემიებს ღებულობენ და ეს როგორ შეიძლებაო!

ჩემდა სამწუხაროდ, ეს უკვე არ არის ის შემთხვევა, როდესაც 1,5 წლის წინანდელი გულდაჯერებით შემიძლია მათ ვუსაყვედურო, — იმ ძართულ ანდაზას რად იყენებთ, სად არის აძ მეორე ღორი-მეთქი.

უკეთეს შემთხვევაში, თუ არ არის, იმისი მოახლოებული ღრუტუნი მაინც ისმის.

თუმცა, გნაცმოძრაობელებს მაინც მსურს, შევახსენო, ვინ, როდის და რატომ დაიწყო ეს მანკიერი პრაქტიკა.

ამაზე ადრეც ბევრჯერ დაგვიწერია მეც და ჩემს კოლეგებსაც, მაგრამ ახლა მაინც მინდა, ერთი პატარა ამონარიდი მოვიყვანო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2010 წლის 3 აგვისტოს ნომრის ჩემეული პუბლიკაციიდან — **„აბა, სხვა რაა მოსყიდვა, ძართამი?“**

„მამუკა ახვლედიანს, თბილისის მერის პირველ მოადგილედ მუშაობისას, თავის მიერვე შევსებული დეკლარაციის თანახმად, წლიურ ხელფასად მიუღია 35400, ხოლო იმავე პერიოდში პრემიად — 35240 ლარი (რა იმუშავა ასეთი?!).

ამის ფონზე იქნებ არც ღირდეს თქმად, მაგრამ ამავე დროის განმავლობაში, თუ არ ვცდები, მიწის ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარეობისთვის მასვე დამატებით მიუღია „სულ რაღაც“ 5 ათას ლარამდე, ანუ ჩვენი ღვაწლმოსილი ადამიანები ხუთი წლის მანძილზე რომ მიიღებდნენ პენსიად, იმდენი ფული.

ნურაფერს ვიტყვით მობილური თუ ქალაქის ტელეფონების ფაქტობრივად ულიმიტოდ გამოყენებაზე, პრაქტიკულად ლამის განუსაზღვრელი ოდენობის ბენზინსა და სხვა „წვრილმანებზე“.

იმას კი არ ვამბობ, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკს თვეში 6-7 ათასი ლარი არ უნდა ჰქონდეს. პირიქით, მეტსაც უნდა იღებდეს ხელფასად, ქვეყანაში სხვებსაც რომ ჰქონდეთ თუნდაც მინიმალური საარსებო საშუალება.

მაგრამ, როდესაც დაქუცმაცებულ-ოკუპირებულ ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობა-უიმედობაა, როდესაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სიღარიბის კი არა, სიღატაკის ზღვარს მიღმაც ცოცხლობს (და არა ცხოვრობს!), როდესაც ლამის ყოველ ნაბიჯზე გამათხოვრებული უპოვარი ადამიანი დგას ხელგაწვდილი, როდესაც...

ღირს კი ჩამოთვლის განგრძობა?“

ასე რომ, სწორედ თქვენს დროს, და თანაც აღნიშნულზე ბევრად ადრე, დაიწყო დემოკრატია-სამართლიანობის „დამცველო“ გნაცმოძრაობელნო, თქვენი მორჩილი ჩინოვნიკებისა და მხარდამჭერების მოსყიდვა-მოქრთამვის ტოლფასი ხელფას-პრემია-დანამატების გაცემა აბსოლუტურად ყველა დონესა და უბანზე.

რადგან კარგად იცოდით, რომ სხვაგვარად (არაფერს ვამბობ ფარულ აუდიო-ვიდეოჩანაწერებით დაშანტაჟებასა თუ სხვა უამრავ უკეთურობაზე!) არ იქნებოდა თქვენდამი ყურმოჭრილი მონური ერთგულება, „მიშა-მიშას“ გაუთავებელი სკანდირება, არჩევნების გაყალბება, გარეთ მომიტინგეთა სისხლიანი დარბევები, ციხეებში კი ცოცხებით „ვაჟკაცობა“ და სხვა.

მამუკა ახვლედიანი გამონაკლისი არ ყოფილა. თუნდაც ეკა ზღულაძე ავიღოთ, შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი პირველი მოადგილე, რომელიც, ასევე თავისი დეკლარაციის შესატყვისად, ხელფასზე მეტ პრემიას ღებულობდა, ხოლო, რაც შეეხება ქვეყნის მაშინდელ „ხერხემალს“ — ვანო მერაბიშვილს, მისი ამბავი ხომ საერთოდ კურიოზულზე მეტიცაა — **მან ტელევიზიაში სტუმრობისას გადაცემის წამყვანს უთხრა, არც ვიცი, რამდენი მაქვს ხელფასიო(?!)!**

მაშ, რითი ცხოვრობდა „გაღლეტილი“ ვანო, თუ ხელფასის ოდენობით არც ინტერესდებოდა?

ან იქნებ შიდა ქართლის თქვენდროინდელი გუბერნატორის ლადო ვარძელაშვილის 2009 წლის 20 ივნისის განკარგულება შეგახსენოთ, **რომლითაც მან თავის თავს თვიურ ხელფასზე მეტი ყოველთვიური პრემია დაუნიშნა?**

არადა, იმ დროისთვის ნახევარი წელი თუ იყო გასული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომიდან, რამაც ყველაზე მეტად სწორედ შიდა ქართლი დააზიანა როგორც მატერიალური თვალსაზრისით, ისე, სამწუხაროდ, ადამიანთა რესურსებითაც!

ახლა კი, ვფიქრობ მართლა არ ღირს განგრძობა.

ასე რომ, თუ ლაფაროს, წვირესა და მოთხვრილი ვარცლის მოყვარული დინგმოთხუპნული ღორი მეორე ღორს დინგიანობას წამოაძახებს, ეს მას, ჯერ ერთი, ბევრ ვერაფერ შვებას ვერ მისცემს და, რაც მთავარია, ოდნავ მაინც რომ ჰქონდეს ნამუსი, თავადაც გამოუსწორებელი ღრუტუნა, სხვას ღორობას ვერ უნდა უწუნებდეს!

მაგრამ მეც ვარ რა! ღორი და ნამუსი?!

მე კი გული იმაზე მწყდება, რომ, როგორც ზემოთაც ვთქვი, წელგამართული ვერ ვეტყვი გნაცელებს, აქ მეორე ღორს ვეღარ ვხედავ-მეთქი.

ვერ ვხედავ კი არა, ნებაზე მიშვებული გოჭუნები პირდაპირ 39 ათასლარიან „ქატოზე“ გადავიდნენ!

კიდევ კარგი, გაბრაზდა ვინც ჯერ არს და შეუძახა, ცხონებული დუმბაძის სიტყვებით — **არ გრცხვენიათ, გოჭებო, ღორებივით იქცევითო!**

კარგი იქნება, თუ ამ შეძახილით „ღორობის ხე“ საბოლოოდ გახმება და ხალხის გულგასახარად და გნაცელთა გულმოსაკლავად, „ასპარეზზე“ კვლავაც ერთი ღორი იქნება.

კიდევ უფრო უკეთესი კი ის იქნება, თუ იმგვარი დრო დაგვიდგება, როდესაც მართლაც სანატრელად საღირალს რასმეს ვინატრებთ და არა ასეთ სისულელეებს!

და რაც მთავარია, ნუ ათქმევინებთ ხელისუფალნო, ხალხს, ვინც, ამავდროულად, თქვენი ამომრჩეველ-დამქირავებელიცაა (აქ ჩემი საყვარელი კახელების ერთი „ფრთიანი“ ფრაზა რომ არ გავიხსენო, არ შემიძლია!) — რამდენი ვირიც ვიყიდე, იმდენი კუა...ა გამოდგაო!

ნუ ათქმევინებთ ამას, თორემ, ხომ იცით, ვირმა რაც იცის!

რუსლან რუსია

◎ ალიანჩალიანი

გაიზარდა უკრაინელ ტურისტთა რიცხვი

საქართველო Forbes-ის უკრაინული გამოცემის ყურადღების ცენტრში მოხვდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გავლენიანი გამოცემის მონაცემებით, 2014 წელს, იანვრიდან მაისის ჩათვლით, საქართველოს 50 ათასამდე უკრაინელი ტურისტი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27%-ით მეტია.

Forbes-ის ჟურნალისტი სტატიაში ყურადღებას ამახვილებს კიევში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გამართულ პრეზენტაციაზე. ღონისძიებაზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ახალ პროგრამებზე იყო საუბარი.

Forbes ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, გიორგი სიგუას განცხადებას ავრცელებს: „უკრაინელები საქართველოში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, თუ თქვენ თბილისის მთავარ ქუჩებს ეწვევით, უკრაინის უამრავ დროშას და სიმბოლოს იხილავთ, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ქართველები უკრაინას და უკრაინელებს მხარს უჭერენ“; — უკრაინელ სტუმრებს საქართველოში ხელგაშლილი ვეპატიჟებით, მათთვის რაც შეიძლება ყველაფერს ვაკეთებთ. ვქმნით ახალ ტურისტულ პროდუქტებს. ავიაბაზარზე ვიწვევთ კომპანიებს. მაგალითად, „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებმა“ და „დნეპროავიამ“ კიევიდან, დნეპროპეტროვსკიდან და ხარკოვიდან საქართველოს ქალაქების მიმართულებით რეისების რაოდენობა გაზარდეს. ახალი რეისები დაამატა ავიაკომპანია Wizz Air-მა. შემოვიდა ახალი ავიაკომპანია YANAIR, რომელიც თბილისისა და ბათუმის მიმართულებით რეისებს შეასრულებს, — აცხადებს სიგუა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, 2014 წლის სეზონზე ტურისტების ძირითადი ნაკადი აჭარასა და სამეგრელოში განაწილდება. მისივე თქმით, წელს ამ რეგიონებში მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები გაიმართება.

მისივე ინფორმაციით, სამეგრელოსა და სვანეთში დაგეგმილია ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მიმზიდველი ტურისტული მარშრუტების განვითარება.

ინტერპრესი

რევაზ გაჩეჩილაძე: ამერიკა ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის ინტერესს წარმოადგენს ყველაფერი, რაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ხდება

ერაყში განვითარებულ პროცესების მიზეზებზე, იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ვაშინგტონი, დაიყოლიოს ქურთები, არ დაიშალოს ერაყის სახელმწიფო, „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს ყოფილ ელჩს ისრაელსა და სომხეთში, თსუ-ს პროფესორს, რევაზ გაჩეჩილაძეს ესაუბრა.

— ბატონო რევაზ, ერაყში ოფიციალური ბაღდადისთვის არასასურველად განვითარდა პროცესები. ერაყში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ჩავიდა. არაბული ქვეყნები ერაყში მიმდინარე პროცესებს კონფესიურ კონფლიქტად აფასებენ. სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირების ფონზე ქურთების ლიდერები ერაყისგან გამოყოფასა და ცალკე სახელმწიფოს შექმნაზე საუბრობენ. ქურთული სახელმწიფოს თემა ახალი არაა, მაგრამ ფაქტია, რომ ჰუსეინის დამხობის შემდეგ, ერაყის სახელმწიფო რეალურად დგას დაშლის წინაშე, რაც ახლო აღმოსავლეთში ისედაც არეულ ვითარებას კიდევ უფრო გაართულებდა. ბაღდადი ვაშინგტონისგან დახმარებას ითხოვს. თეთრი სახლი აშკარად არ ჩქარობს. არადა, ერაყი რეალურად იმყოფება დაშლის პირას. თქვენ როგორ შეაფასებდით ერაყში შექმნილ ვითარებას?

— შეუძლებელია მიმდინარე პროცესების შეფასება, თუ არ გავითვალისწინებთ ისტორიულ წინაპირობებს. ერაყის ტერიტორია დიდხანს იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. როდესაც 1920-იანი წლების დასაწყისში ამ ტერიტორიის მართვაზე მანდატი ერთა ლიგამ დიდ ბრიტანეთს გადასცა, ერთ სახელმწიფოში ფაქტობრივად ხელოვნურად გაერთიანდა ბაღდადის (უპირატესად სუნიტი მუსლიმებით დასახლებული), ბასრას (უპირატესად შიიტური) და მოსულის (ქურთებით, თურქმენებით, სუნიტი არაბებით დასახლებული) ვილაიეთები. ერთიანი „ერაყული იდენტობის“ შექმნა გაჭირდა.

1958 წლამდე ერაყში იყო მონარქია სუნიტური დინასტიით სათავეში. მონარქის ბრიტანელი მრჩევლები გარკვეულად აბალანსებდნენ ვითარებას. 1958 წელს კი ბაღდადში მონარქია დაამხეს და იქ დაიწყო სამხედრო გადატრიალებების („რევოლუციების“) სერია, როდესაც ყოველი მორიგი დიქტატორი სუნიტი ოფიცერი ხდებოდა. მათ შორის უკანასკნელი და ყველაზე მყარად დაფუძნებული აღმოჩნდა სადამ ჰუსეინი, რომელიც 1975-2003 წლებში რკინის ხელით მართავდა ერაყს. ერაყის სამხედრო-პოლიტიკურ ელიტაში დიდ უმრავლესობას სუნიტები წარმოადგენდნენ.

თუმცა, ჰუსეინის დროს მთავრობაში შიიტები და ქრისტიანებიც კი შეჰყავდათ, თუნდაც პროპაგანდისტული მიზნით. ამავე დროს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიიტი არაბი იყო, ხოლო თითქმის მეხუთედი - ქურთი. რეალური პოლიტიკური ვითარება ერაყში უსამართლო იყო არასუნიტი და ქურთული მოსახლეობის მიმართ. სადამ ჰუსეინი ნამდვილად იყო სასტიკი დიქტატორი და სამხედრო დამნაშავე. ვგულისხმობ მის მიერ ორგანიზებულ აგრესიას ირანის წინააღმდეგ, რაც 1980-1988 წლების სისხლისმღვრელ და დამანგრეველ ომში გადაიზარდა, და ქუვეითის ანექსიას 1990 წელს. მაგრამ, ერაყის რეჟიმი არ უქმნიდა საფრთხეს დასავლეთს. ის არ ახალისებდა ისლამურ ფუნდამენტალიზმს და „ალ-ქაიდას“, იქიდან არ მიდიოდნენ ტერორისტები ნიუ-იორკის „სავაჭრო ცენტრის“ დასანგრევად — 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების ორგანიზატორები საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან იყვნენ.

ამიტომაც ალოგიკური იყო 2003 წელს დასავლეთის ქვეყნების კოალიციის შეტევა ბაღდადზე. ბუნებაში არ არსებობდა ერაყის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის რეჟიმებისაგან შედგენილი „ბოროტების ღერძი“, რისი გამოცხადებაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსს, როგორც ჩანს, მისმა მრჩევლებმა უკარნახეს. სადამ ჰუსეინის ერაყი და ირანის შიიტური ხელისუფლება ერთმანეთის მტრები იყვნენ და არავითარ „ღერძს“ არ ქმნიდნენ.

სადამ ჰუსეინის დამხობამ, ერაყის არმიის დაშლამ, მთელი სახელისუფლებო აპარატის დანგრევამ ქვეყანაში ხანგრძლივი ქაოსი წარმოქმნა.

ამერიკელებმა ლამის ტრილიონი დოლარი დახარჯეს ერაყის აღდგენაზე, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს კონფესიათაშორის (სექტარულ) დაპირისპირებას, რამაც ბევრად მეტი ადამიანი იმსხვერპლა, ვიდრე სამხედრო მოქმედებებმა. ზედაპირზე გამოვიდა დაპირისპირება შიიტ და სუნიტ არაბებს, არაბებსა და ქურთებს, ქურთებსა და თურქმენებს შორის, რასაც ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმი სასტიკად ახშობდა.

ერაყის ძველი სუნიტური ელიტა, რომელიც 2004 წლიდან შიიტურმა შეცვალა, თავს დაჩაგრულად გრძნობს. ნური ალ-მალიქის მთავრობას ადგილზე და საზღვარგარეთაც ადანაშაულებენ მხოლოდ შიიტი არაბების წახალისებასა და მხარდაჭერაში და სუნიტების დევნაში. შექმნილი ვითარებით სარგებლობენ სუნიტი ისლამისტები და არა მარტო არაბები — „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ მუჯაჰედები, ანუ საღვთო ომის მონაწილეები. მათ მებრძოლთა შორის ჩრდილოკავკასიელებიც არიან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულებიც. ამ მებრძოლებმა სირიაში სამწლიანი სამოქალაქო ომის დროს დიდი გამოცდილება შეიძინეს. მცირერიცხოვანმა, მაგრამ მოტივირებულმა მუჯაჰიდებმა შეძლეს ერაყის ახალშექმნილი არმიის დიდი დანაყოფების დამარცხება და მოკლე დროში მრავალი ქალაქის დაპყრობა. ერთადერთი ვისაც ისინი ვერ უმკლავდებიან, ქურთების არმიაა.

ქურთებით დასახლებული ჩრდილოეთი ერაყი ქვეყნის ყველაზე მშვიდი რეგიონია. ერაყის ქურთისტანი სანახევროდ დამოუკიდებელია, ჰყავს საკუთარი მთავრობა, საკუთარი არმია, ერთადერთი არა ჰყავს საკუთარი დიპლომატიური მისიები საზღვარგარეთ. თუმცა, მისი ფორმალური დამოუკიდებლობის გამოცხადება, არა მგონია, მალე მოხდეს.

— ექსპერტთა შეფასებით, ერაყის პრემიერი ალ-მალიქი იძულებული გახდება, მიიღოს აშშ-ის მხრიდან დახმარებაზე ვაშინგტონის პირობები, მაგრამ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ბრძოლაში ქურთების დამსახურების გათვალისწინებით, არავინ იცის, შეძლებს თუ არა ვაშინგტონი ქურთების ლიდერების იმაზე დაყოლიებას, რომ მათ უარი თქვან ერაყისაგან გამოყოფაზე. გავლენიანი რუსი ექსპერტების შეფასებები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამერიკის „ერაყული თავისტკივილი“ კრემლს ახარებს. თურქეთის პარლამენტართა აფხაზეთში სტუმრობის ფონზე არაა გამორიცხული, რომ თურქეთის ქურთების გააქტიურებაში მოსკოვის ხელიც ერიოს. თქვენი აზრით, განვითარებული პროცესების ფონზე შეძლებს აშშ ერაყში ვითარების განმუხტვას, ერაყის პრემიერ ალ-მალიქის მოლოდინების გამართლებას და ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტ მასუდ ბარზანის ამბიციების მოთოკვას?

— ბოლო შემთხვევაში ვაშინგტონი მარტო არ იქნება. საერთაშორისო საზოგადოებრიობა ერაყის ქურთისტანის მიერ ცალმხრივად დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ ცნობს და, რაც მთავარია, მეზობელი ქვეყნები - თურქეთი და ირანი — ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არიან. არა მგონია, მასუდ ბარზანი მხოლოდ ამბიციებს იყოს აყოლილი და რეალურ სიტუაციას არ ითვალისწინებდეს. ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ბაღდადში ოფიციალურად აღიარებული მთავრობა ზის, ერაყის ქურთისტანისგან მკვეთრ ნაბიჯებს არ უნდა ველოდეთ.

ეჭვგარეშეა, თითქმის ყველა საერთაშორისო გართულება, სადაც აშშ-ის ინტერესებია ჩართული, კრემლისთვის, რომელიც ლამის დაუფარავად მიიჩნევს თეთრ სახლს თავის ძირითად გეოპოლიტიკურ მეტოქედ, სიხარულის მომგვრელი უნდა იყოს. მაგრამ თქვენ კითხვაზე „მოსკოვის ხელზე თურქეთის ქურთთა გააქტიურებაში“ პირდაპირი პასუხი არა მაქვს. აქ მოსკოვი ძალიან ფრთხილი იქნება და მისი „ხელის“ დანახვა მხოლოდ ვარაუდით შეიძლება, ზედაპირზე კი მას ვერ დავინახავთ.

> **სადამ ჰუსეინის დამხობამ, ერაყის არმიის დაშლამ, მთელი სახელისუფლებო აპარატის დანგრევამ ქვეყანაში ხანგრძლივი ქაოსი წარმოქმნა.**

რაც შეეხება კითხვის პირველ ნაწილს: ერაყის პრემიერ-მინისტრს ნური ალ-მალიქის ძალიან სჭირდება ამერიკელების დახმარება. რა არის „ამერიკული პირობები“ ასეთ შემთხვევაში? როგორც ჩანს, მოთხოვნა, რომ მოხდეს ისეთი მთავრობის ფორმირება, რომელშიც იქნებიან სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები. ძნელია ამის გაკეთება ფაქტობრივი სამოქალაქო ომის პირობებში, როდესაც მუჯაჰედები დედაქალაქ ბაღდადიდან ასიოდე კილომეტრში აკონტროლებენ ქალაქებს, გზებს, უდიდეს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას. მაგრამ ასეთი ნაბიჯის გარეშე ბაღდადი დახმარებას ვერ მიიღებს.

სამოქალაქო ომი ყოველთვის განსხვავდება გარეშე მტრის აგრესიისაგან: სამოქალაქო ომში ძნელია მტერ-მოყვარის გარჩევა. 18 ივნისს აშშ კონგრესში მოსმენისას შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მარტინ დემპსიმ განაცხადა, რომ ამერიკელ სამხედროებს არა აქვთ საკმარისი სადაზვერვო მონაცემები საბრძოლო მოქმედების დასაწყებად და ამერიკელ მფრინავებს გაუჭირდებათ, გაარკვიონ, ვის უნდა შეუტიონ ჰაერიდან. „ცოტა რამ შეიძლება გაკეთდეს, რომ გამოსწორდეს მდგომარეობა, მას შემდეგ რაც ერაყის ხელისუფლებამ ასე გაუცრუა იმედი თავის ხალხს. ესაა პრობლემის არსი“, — თქვა გენერალმა.

— თქვენი აზრით, სირიაში აშშ-სა და დასავლეთის მარცხის, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, სავარაუდოდ, როგორ აისახება ერაყში განვითარებული პროცესები საერთაშორისო პოლიტიკაზე და ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებზე?

— ვერ ვიტყოდი, რომ სირიაში აშშ-მა და ზოგადად დასავლეთმა პირდაპირი მარცხი განიცადეს. უფრო მგონია, რომ იქ ბოლომდე ვერ გაერკვნენ, თუ ვინაა მათთვის უფრო სასურველი გამარჯვებული სირიის სამოქალაქო ომში - დიქტატორი, მაგრამ სეკულარიზმის მომხრე ბაშარ ასადი თუ „ალ-ქაიდასთან“ დაკავშირებული ისლამისტი მებრძოლები, რომელთაც პრაქტიკულად განზე დატოვეს თავიდან დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი პროდემოკრატიული ძალები. რუსეთმა კი თავიდანვე ასადის მხარე დაიჭირა.

მართალია, ყირიმის ანექსია ჯერჯერობით მოსკოვის ერთმნიშვნელოვნად გამარჯვებად აღიქმება, დასავლეთმა ამას ჯერჯერობით ნაკლებეფექტიანი სანქციები დაუპირისპირა. ერაყის მოვლენებში კი, არა მგონია, ვაშინგტონსა და მოსკოვს უკვე ჰქონდეთ მკვეთრად დაპირისპირებული პოზიციები. უამრავ ახალ ნიუანსს მოიცავს ხოლმე ნებისმიერი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება, ასეთი კი შეიძლება გახდეს ერაყის ჰიპოთეტური დაშლა, ანდა „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ასევე ჰიპოთეტური შექმნა. თუმცა, ასე მგონია, რომ არც ერთი მოხდება და არც მეორე. ყველა ნიუანსის წინასწარ გათვლა შეუძლებელია - ყოველთვის როდია ნათელი, თუ რომელ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს მოუტანს სარგებლობას კონკრეტული ცვლილებები.

— ამერიკიდან დაბრუნებული რუსი ექსპერტის ანდრეი სუშენცოვის მტკიცებით, რომელიც საქართველოს საკითხებზე მუშაობს, უკრაინის თემა ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში პრაქტიკულად აღარ არსებობს. ამერიკელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ უკრაინის გამო ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გაფუჭებული ურთიერთობები განვლილი ეტაპია და საერთოდ, ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში არ ავლენენ ინტერესს არა მარტო უკრაინისა და რუსეთის მიმართ, არამედ ერაყის მიმართაც. თქვენი აზრით, რუსი ექსპერტი სასურველს რეალობად წარმოაჩენს, თუ იგი, კრემლის პროპაგანდისტულ მონახაზში ზის და ცდილობს, დაარწმუნოს რუსული საზოგადოება და ჩვენც, რომ საერთაშორისო ასპარეზზე პუტინისა და რუსეთის თავგასული მოქმედება ვაშინგტონმა პრაქტიკულად დაივიწყა და გადაყლაპა?

— ვფიქრობ, ამ თვალსაზრისში ბევრია სათავისო სუბიექტური აზრი. ამერიკა ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც გლობალური გეოპოლიტიკური კოდი აქვს, ანუ მის ინტერესს წარმოადგენს ყველაფერი, რაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ხდება. ამიტომაც ვაშინგტონში ყველა რეგიონის ექსპერტებია თავმოყრილი. უკრაინისა და ერაყის მოვლენები ვაშინგტონს არ შეიძლება არ აინტერესებდეს, ვერც ყირიმის ანექსიისას რუსეთის ქმედებას დაივიწყებს. სხვა საქმეა, რამდენად აქტიურად იმოქმედებს ამჟამინდელი ადმინისტრაცია. საგარეო პოლიტიკის გატარებისას უძლიერეს სახელმწიფოსაც კი პრიორიტეტების კლებადი რიგი აქვს, რაღაცას მეტ ყურადღებას აქცევს, რაღაცას — ნაკლებს. ამჟამად, ამერიკისათვის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონია პრიორიტეტული. იქნებ სუშენცოვს ასეთი აზრი იმიტომ შეექმნა, რომ იმ ექსპერტებს შეხვდა, რომლებიც ჩინეთსა და ვიეტნამს სწავლობენ?

მაინც მგონია, რომ აშშ არ მიატოვებს ბაღდადის ამჟამინდელ რეჟიმს და დაეხმარება მას ექსტრემიზმის დამარცხებაში.

კობა გენდელიანი

რკინიგზის აღდგენის აჟიოტაჟი

სომხეთის **რესპუბლიკის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ვიზიტმა საქართველოში წინა პლანზე წამოსწია პერმანენტული თემა — რკინიგზა. მართალია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დაიფიცა, რომ, საერთოდ, სიტყვა „რკინიგზა“ არ ყოფილა ნახსენები მოლაპარაკების პროცესში, მით უმეტეს რკინიგზის აღდგენა აფხაზეთის ტერიტორიაზე და მისი დაკავშირება საქართველოსთან, შესაბამისად, რუსეთთან.**

რკინიგზის აღდგენის თემა აქტუალური იყო სომხეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ვიზიტის დროს, რასაც ისტერიული გამოხმაურება მოჰყვა ოპოზიციაში მყოფ „ნაცებში“ და არა მარტო მათში, არამედ ხელისუფლებაში მყოფ „ოცნებაშიც“. აქტიურობდნენ ექსპერტები და მედიის წარმომადგენლები, ცხადია, რკინიგზის გახსნის საწინააღმდეგოდ.

შარშანდელი ისტერიიდან გამომდინარე, ისინი წელსაც შეეცადნენ ამ თემის აგორებას, ვინაიდან მაღალი სომეხი სტუმარი სწორედ ის პირი იყო, ვისაც შეეძლო აღნიშნული საკითხის კვლავ დასმა საქართველოს ხელისუფალთა წინაშე. ძნელია მტკიცება იმისა, დასვა თუ არა ეს საკითხი მასპინძელთა წინაშე სარგსიანმა პირად საუბრებში, მაგრამ საჯაროდ ამის შესახებ სტუმართა მხრიდან არავის უთქვამს, რაც, ჩემი აზრით, ცუდია და რატომ?

რკინიგზის გახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სომხეთისთვის, რომელსაც მჭიდრო ეკონომიკურ-სამხედრო კავშირები აქვს რუსეთთან. რკინიგზის გახსნით, სომხეთი გამოვა იმ ჩიხიდან, რომელიც, მისდა სამწუხაროდ, შეიქმნა აზერბაიჯანთან კონფლიქტის შედეგად და ამიერკავკასიაში განვითარებული პოლიტიკური თამაშის წყალობით, გასული საუკუნის 90-იან წლებში.

აფხაზეთის კონფლიქტმა არა მარტო საქართველო-რუსეთის აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთი ჩახერგა, არამედ კავკასიაში მიმდინარე აგრესიულ პროცესებსაც შეუწყო ხელი. რომ ყოფილიყო ეს რკინიგზა, მას უდავოდ ექნებოდა რუსეთ-საქართველოს დამაახლოებელი ფუნქცია, გაცილებით მეტი, ვიდრე რკინიგზის უფუნქციობის შემთხვევაში.

ერთმანეთთან კავშირი, თუნდაც რკინიგზის მეშვეობით, კონფლიქტის ნაკლები საწინდარია, ვინაიდან ორივე მხარე ანგარიშს უწევს მსგავს კომუნიკაციას და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აუარესებს კონტაქტებს. ცხადია, კონფლიქტის შემთხვევაში რკინიგზა გამოიყენება სამხედრო თვალსაზრისით, თუმცა, მისი დაბლოკვა ნაკლები პრობლემაა.

ქართული მხარე სწორედ სამხედრო თვალსაზრისით იხილავს რკინიგზის აღდგენის საკითხს, მიიჩნევს, რომ რუსეთი შეეცდება ზეგავლენის მოხდენა საქართველოზე. გავიმეორებ — რკინიგზა შეიძლება გამოყენებული იქნას სამხედრო გადაზიდვებისთვის, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლება მისი დაბლოკვა.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, აფხაზეთის გავლით საქართველო-რუსეთის რკინიგზის აღდგენა ყველა თვალსაზრისით როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, უმნიშვნელოვანესი რამ არის. ის აკავშირებს ერთმანეთთან სომხეთს, საქართველოსა და რუსეთს, პერსპექტივაში ირანს და ირანის მეშვეობით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, არაბულ სახელმწიფოებს და ა.შ.

ეს რკინიგზა, კომუნიკაციის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი რამ არის, რასაც შეუძლია, ნაკლებ დროსა და დანახარჯებში, დააკავშიროს ერთმანეთს მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის, ისეთებიც, აზიის ეკონომიკურ „ვეფხვებად“ რომ მოიხსენიება.

საქართველო, არცთუ მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეებით, მდიდარია გეოგრაფიული მდებარეობით, თუმცა, მისი პრაგმატულად გამოყენების საკითხი სერიოზულად მოიკოჭლებს. აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა, განსაკუთრებით საქართველოსთან შემაერთებლის, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველო-აფხაზეთის დაახლოების საქმეში.

რკინიგზის აღდგენა ხელს შეუწყობს საქმიანი კონტაქტების დაწყებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას. მაგრამ, როგორც ჩანს, არც ეს ხელისუფლება არის მზად ამისთვის. მას გაცილებით მეტად აწყობს პოზაში დგომა და 50-იანი წლების ალბანეთობა, ანუ არავისთან არავითარი კავშირი, გარდა აშშ-სა. ალბანელებიც ასე იყვნენ — მათ მხოლოდ ჩინეთთან ჰქონდათ კავშირი.

თუ ვინმე უნდა იყოს აღნიშნული რკინიგზის აღდგენით დაინტერესებული — საქართველოა, ვინაიდან მას გაცილებით მეტი მოგება შეხვდება, ვიდრე სომხეთს და ეს მოგება არა მარტო ეკონომიკური იქნება, არამედ პოლიტიკურიც. სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა ისე, როგორც გუშინ, დღესაც უმწიფრად გამოიყურება. მას არ უყვარს პოლიტიკურ-ეკონომიკური გათვლები, არ უყვარს თავის შეწუხება.

ზოგი ექსპერტი დაბეჯითებით აცხადებს, რომ რკინიგზის აღდგენა კონკურენციას გაუწევს თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის მშენებარე რკინიგზას და გააუარესებს ურთიერთობას ბაქოსთან.

კონკურენციის რა მოგახსენოთ, მაგრამ ურთიერთობის დაძაბვა თბილისი-ბაქოს შორის გამორიცხული არ არის, თუმცა, მოლაპარაკებით, თან საზრიანით, სრული შესაძლებელია ვითარების განმუხტვა. ეს საქმე დიპლომატიამ უნდა იკისროს, თუმცა, არა დღევანდელმა, თანაც უნიჭომ, არამედ სახეცვლილმა ხვალინდელმა, პატრიოტულად განწყობილმა, საქმის მცოდნემ.

ხშირად ამბობენ — გაბრაზებული აზერბაიჯანი გაზს აღარ მოგვცემსო, რაც არ არის გამორიცხული — ქართული ვიწრო აზროვნებიდან გამომდინარე. არ მოგვცემს და მოაცემინებენ. გარდა ამისა, ქართული საზომით აზერბაიჯანის მოქმედების შეფასება — მიუღებელია. ამ ქვეყანამ კარგად იცის საერთაშორისო ხელშეკრულების ყადრი, გაცილებით უკეთესად, ვიდრე ქართულმა პოლიტიკამ. გარდა ამისა, არსებობს გაზის მიღების სხვა წყაროებიც — რუსეთ-ირანის სახით. ამიტომაცაა საჭირო აღნიშნულ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობების ქონა.

სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტს დაემატა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საკითხიც. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ კარასინმა განაცხადა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის ინიციატივა იმისგან უნდა მოდიოდეს, ვინც გაწყვიტაო, ანუ საქართველოსგან.

კარასინს დამთავრებული არ ჰქონდა წინადადება, რომ ფანჯიკიძემ შეიცხადა — ვიდრე რუსეთი არ შეცვლის თავის პოლიტიკას — ასე შემდეგ და ასე შემდეგ, საქართველო არ აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთანო.

ეს, როგორ შეიძლებაო — ხმა აუწყვეს სხვა პოლიტიკოსებმაც. ეს, ხომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საბოლოო დაკარგვის ტოლფასი იქნებაო.

ამ კაკაფონიაში ყველაზე მეტად „ნაცთა“ ხმა გამოირჩეოდა — სწორედ იმათი, ვინც მოთხარა საქართველოს მთლიანობა; ვინც წამოიწყო 2008 წლის ცხინვალის ომი; ვინც ყველაფერი იღონა რუსეთთან ურთიერთობის გასაუარესებლად.

და, ბოლოს, მოყაყანეთა შორის თეთრი მანდილი ჩააგდო ზურაბ აბაშიძემ — პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობაში. მან დაამშვიდა საზოგადოება, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ მოხდება, ვიდრე რუსეთი არ გაუქმებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დიპლომატიურ აღიარებას, არ გაუქმებს იქ არსებულ რუსეთის საელჩოებსა და სამხედრო ბაზებს და ა.შ.

მანამდე არაფერი გეტკინოთო — გაიფიქრა რუსეთმა. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ქართულ პოლიტიკას რუსეთის მიერ ქართული წინადადების შესრულება? და თუ მართლაც მოხდა სასწაული, და რუსეთმა შეასრულა ქართული მხარის მოთხოვნები, როგორი გამოხმაურება მოჰყვება ამას რუსეთში? ნაკლებად შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ რუსეთის ხელისუფლების ქმედება წირვას გამოუყვანს ხელისუფლებას.

თუ ვინმე უნდა იყოს დაინტერესებული საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენით — საქართველოა, ვინაიდან დიპლომატიური მოლაპარაკებების რაუნდებმა უნდა გახსნას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების კარი.

მხოლოდ საქმიანი კონტაქტი მოგვცემს აღნიშნული საკითხის მოგვარების შანსს. ბუტიაობა და ულტიმატუმის ენით ლაპარაკი ისეთი უსუსური ქვეყნისგან, როგორიც საქართველოა, მიუღებელია. საქართველოს ხელისუფლება კი, ომში დამარცხებული, ნაცვლად იმისა — ეძიებდეს გზას დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად, ისე ლაპარაკობს, თითქოს გამარჯვებული რუსეთი იყოს.

ქვეყნებს შორის წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით იჭრება და რაღა საქართველო იქნება უნიკალური, რომ რუსეთთან ურთიერთობა უკონტაქტოდ მოაგვაროს?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მიშა მაინც თქვენზე მაგარია, თქვე ფარჩაკებო, ამხელა სიხარული გვაქვს დღეს, და არც კუტუნიო, არც ხულიო?

● კონცერტზე ყველამ ერთად დავადასტუროთ . . .

ნუ, დავაფიქსიროთ და რუსეთი დაიხევს.

აი უკრაინაში რო დაიხია ყველა, ზუსტად ისე დაიხევს!

მთავარი კონცერტია! თანაც ევროპის მოედანზე!

თქვენ გაიხარეთ მეკონცერტეებო!

● შორი გზიდან NATO-ს ველი,
სხვა მოდის და ის კი არა,
ვაითუ გზაში დაიღალა,
კოჭლია და ვერ იარა...

● რიყეზე უაზრო ტაშ-ფანდურა (თავისუფალი დასწრებით) და გზებზე სუფრის გადაფენა, ხომ არავის და არაფერს გაგონებთ?

● კარლ ბილდტი — ჩვენ ფსონს ვდებთ საშუალო და გრძელვადიან შედეგებზე, რომელიც დღეს პანიკაში აგდებს კრემლს.

კარლო, შენმა კი არა, ნაპოლეონის და ჰიტლერის ფსონმა ვერ ჩააგდო კრემლი პანიკაში! — გამომივიდა ესეც გოგებაშვილი. არადა, საფრანგეთის X2 დადოს ჯობია.

● პუტინმა რომ დაუღრინოს ევროპას და ხელი არ მოგვიწერონ, კონცერტი მერე ნახე!

● ფეხბურთელებზე რა ვთქვა, მაგრამ პოლიტექსპერტების სიმწირეს რომ განვიცდით, კი ვიცი ნა ვსე სტო%!

● ფეხბურთზე ნუ გადაგყავთ სტრელკები. რაც მართლა გინდათ თქვათ, თქვით (რაც მართალია, ჯერ ცოცხებს არ ურჭობენ. მარა თუ პერსპექტივის გეშინიათ, ჩუმად იყავით!)

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ალიანჩალიანი

დამტკიცდა რეგიონული განვითარების პროგრამა

საქართველოს **მთავრობამ 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა დაამტკიცა.**

პროგრამა მინისტრთა კაბინეტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა წარუდგინა, რომელმაც სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებისათვის განმარტებები გააკეთა.

— ეს არის საშუალოვადიანი სამთავრობო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის რეგიონალური პოლიტიკის მიზნებსა და პრიორიტეტებს. დოკუმენტის შემუშავება და განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების ფორმატში. დოკუმენტი პირდაპირ პასუხობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების ხელშეკრულებას და სამოქმედო გეგმის შესაბამისი დებულების მოთხოვნებს, — განაცხადა ელგუჯა ხოკრიშვილმა.

ამასთან, მინისტრის თქმით, სექტემბერში ხელი მოეწერება ევროკავშირთან საბიუჯეტო დახმარებას 30 მილიონი ევროს ფარგლებში.

ინტერპრესი

◎ მემორანდუმი

ქართველი აგრარიკოსი მეცნიერების თანამშრომლობა კორეის რესპუბლიკის კოლეგებთან

2014 წლის ივნისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე, კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწვევით იმყოფებოდნენ კორეის რესპუბლიკაში. ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და ეროვნული აგრობიომრავალფეროვნების ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაცნობა, საქმიანი კონტაქტების დამყარება და მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში, რომელიც სოფლის მეურნეობაში აგრობიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დღევანდელ მსოფლიო გამოწვევების საკითხებს მიეძღვნა. აღნიშნულ სემინარზე აკად. გ. ალექსიძის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება, რომელიც საქართველოს აგრარული მეცნიერების მდგომარეობას და პერსპექტივებს ეხებოდა და ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოქმედი ბიომრავალფეროვნების ცენტრის მუშაობის ამსახველი ასპექტები. კონფერენციაზე აღნიშნულ საკითხებზე საინტერესო მოხსენება გააკეთა დოქტ. დავით მაღრაძემ მრავალწლიანი კულტურების გენეტიკური რესურსების შესახებ.

საქართველოს აგრარიკოს მეცნიერთა ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და კორეის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის შემდეგ.

რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის, რაც საქართველოს და კორეის რესპუბლიკის აგრარული მიმართულების მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თანამშრომლობის წარმატებულ საწყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ.

◎ ალიან-ჩალიანი

კახეთიდან რუსეთში ატმის პირველი პარტია გაიგზავნა

ძართული ხილი რუსულ ბაზარზე გადის. ატმის პირველი პარტია კახეთიდან რუსეთში უკვე გაიგზავნა. ხილის ერთ-ერთმა ექსპორტიორმა კომპანიამ საექსპორტოდ სოფელ ჩუმლაყში 60 ტონამდე ატამი და ვაშლატამა ადგილობრივი ფერმერებისგან იყიდა. რუსეთის ბაზარზე ხილის გატანის უფლება ქართველმა და რუსმა ფიტოსანიტარებმა შესაბამისი სერტიფიკატით დაადასტურეს.

◎ საპენსიო რეფორმა

ასე ტკბილად ნაღდად ვერ დავბერდებით!

ეკონომიკის აყვავებას, მისი ზრდის ტემპის აჩქარებას, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მატებასა და სხვა მსგავს კატეგორიებს, არსებითად, არანაირი აზრი არა აქვს, თუკი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კვლავინდებურად დუხჭირ ცხოვრებას განაგრძობს, ხოლო მილიონზე მეტი კაცი ერთი ციდა ქვეყნიდან საზღვარგარეთ ლუკმა-პურის ფულის საშოვნელად ისეა წასული, რომ უკან დაბრუნებაზე არც ფიქრობს. ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის დაბალ დონეს იმდენი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, მათი მარტო ჩამონათვალი დიდ ადგილს დაიკავებდა, ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესია, ამ ჯერზე მრავალი ჩვენგანის შემოსავლის უმთავრეს წყაროებზე — ხელფასსა და პენსიაზე ვილაპარაკოთ, დროში მათი ცვლის დინამიკა განვიხილოთ და არსებულ პერსპექტივებსაც გადავავლოთ თვალი.

თავდაპირველად ლაპარაკი ასაკით პენსიის ოდენობაზე გვინდა, დავიწყოთ, რომელიც, როგორც ცნობილია, 150 ლარია.

როცა წინა ხელისუფლებამ პენსიები ჯერ 80, შემდგომ კი 100 ლარამდე გაზარდა, ეს გაუთავებელი თავმოწონების საბაბი იყო, მაშინ არავინ ამბობდა, იმდროინდელი საარსებო მინიმუმის რა ნაწილს შეადგენდა ეს „უსაშველოდ“ გაზრდილი პენსია. არადა, ხომ ფაქტია, რომ, პენსიაზე გასულ კაცს ისე არ უნდა გაუჭირდეს, რომ კომუნალური გადასახადების გასტუმრებაზე, საკვებისა და მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებით ყოველდღიურად ფიქრისგან თავი არ უსკდებოდეს და ნერვები არ ასკდებოდეს. ამიტომაც, პენსიის ოდენობის დადგენისას ხელისუფლება ცდილობს, რომ იგი სამომხმარებლო კალათის ღირებულების ტოლი მაინც იყოს, რასაც, ჩვენში საარსებო მინიმუმი ეწოდება. უბედურება ისაა, რომ უსაშველოდ მოძველებულ, აშკარად არაცხოვრებისეული მეთოდებით დათვლილ საარსებო მინიმუმსაც კი, დღესდღეობით 150-ლარიანი პენსია, სულ მცირე, ორჯერ და მეტადაც ჩამოუვარდება, დიდი ხარვეზებით გამოთვლილი საშუალო ხელფასი კი მას ოთხჯერ და მეტად აღმატება. ამას კიდევ იმასაც თუ დავუმატებთ, რომ, ჩვენს ქვეყანაში საშუალო ხელფასს არსებითად, მოსახლეობის მხოლოდ 30-40 პროცენტი იღებს, საერთო სურათი კიდევ უფრო გამუქდება. აქვე იმასაც შეგახსენებთ, ბატონებო, რომ ეს მაშინ ხდება, როცა ბოლო ოთხნახევარი წლის მანძილზე, პენსიები ოთხჯერ გაიზარდა: თავდაპირველად, 2010 წელს მინიმალური ოდენობა 80 ლარი გახდა, შემდეგ 100 ლარამდე გაიზარდა, შარშან თამასამ ჯერ 125 ლარამდე აიწია, შემოდგომაზე კი დღეს არსებულ 150-ლარიან ნიშნულზე მივიდა.

რაც შეეხება საშუალო ხელფასს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი სტატისტიკის სამსახურმა გარკვეული ხარვეზებით დაიანგარიშა: მასში ერთადაა თავმოყრილი უმაღლესი და საშუალო რანგის სახელმწიფო ჩინოსნების, კერძო კომპანიების, საფინანსო სფეროს ტოპ-მენეჯერთა შრომის ანაზღაურება და ყველა სხვა დანარჩენთა ხელფასები, რომელთა შორის დაახლოებით ათჯერადი განსხვავება მაინც არის, ამდენად რეალურ სურათს არანაირად არ ასახავს. მაგრამ, არსებული მდგომაროების მთელი სიმძაფრე ის გახლავთ, რომ ხანდაზმულ ადამიანთა პენსია საშუალო ხელფასზე დაახლოებით 4,5-ჯერ ნაკლებია, რაც ბევრი მათგანისთვის კატასტროფის ტოლფასია. მსოფლიოს მოწინავე, ასევე განვითარებადი ეკონომიკების მქონე

როგორ გავიწვდინოთ სიბერეში ესოდენ „მოკლე საბანი“?

ქვეყნებში, მათ შორის **ჩვენს უახლოეს სამეზობლოშიც, პენსიების სიდიდით საშუალო ხელფასს ყველგან ჩამოუვარდება, რაც იქაც გამუდმებული კრიტიკის საგანია, მაგრამ იქ, მით უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში, ამ ორი მაჩვენებლის თანაფარდობის 30-50-პროცენტიან ფარგლებში მოქცევას ცდილობენ. ჩვენში კი ეს მეტად არასახარბიელო მაჩვენებელი, საშუალოდ, თითქმის 450 პროცენტს შეადგენს! განსაკუთრებით დიდი კი ეს განსხვავება სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ პირთა ხელფასებთანაა და 700 პროცენტს აღწევს(!),** რაც საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებში, რომ იტყვიან, „სანთლითაა საძებარი“. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოლო ხუთწლეულის მანძილზე საქართველოში საშუალოდ ხელფასი დაახლოებით 41 პროცენტით, პენსიები კი მთელი 87 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლეულს პირველ კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 795,5 ლარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 60 ლარით მეტია. აღნიშნულ პერიოდში დაქირავებით დასაქმებულებს ხელფასები ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში, მათ შორის სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებში გაეზარდათ: ოთხი წლის წინათ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 926 ლარი იყო, წლევანდელი პირველი კვარტლის მონაცემებით კი, ამ მაჩვენებელმა 1079 ლარი შეადგინა.

საშუალო ხელფასებისა და პენსიების ოდენობის ზემოაღნიშნული, არათანაბარი ზრდა (შესაბამისად, 41 და 87 პროცენტით) იმით იყო განპირობებული, რომ პენსიების გაზრდის მომენტისთვის ისინი საშუალო ხელფასებზე გაცილებით მცირე იყო და ასეთი დიდი ზრდის შემდეგაც კი, როგორც აღვნიშნეთ, მათზე დაახლოებით 4,5-ჯერ ნაკლებია. აქედან გამომდინარე, უცხოეთში, მიღებულ გარკვეულ დონეს მაინც რომ მივუახლოვდეთ, რომელიც **გამუდმებით კრიტიკის ქარცეცხლშია, საქართველოში პენსიები, სულ მცირე, 320-350 ლარი მაინც უნდა იყოს.** ამის მიღწევა კი, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ჩვენში საშუალო ხელფასი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში მთლიანი შიდა პროდუქტის მატებაზე წინმსწრები ტემპით იზრდება, საექსპერტო შეფასებით, ნაკლებად რეალურია. **თუკი ჩვენში მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის მიმართ სახელმწიფოს მხრივ მიდგომას სამართლიანობის თვალსაზრისით შევხედავთ, სახელმწიფო სექტორში ხელფასების ზრდის ტემპს, გარკვეულწილად, მინიმალური პენსიის რეალური ზრდაც უნდა მიყვებოდეს, თუმცა კი ჩვენში ყოველივე ეს, უმეტესწილად, მხოლოდ საჯარო პოპულისტური განცხადების დონეზე ხდება.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქვეყანაში პენსიების პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური საკითხია, რომლის გადაჭრის გზა, როგორც ჩანს, **საპენსიო სისტემის არსებული მოდელის მოდერნიზებას, ანდა, სულაც, შეცვლას საჭიროებს.**

დღესდღეობით მოქმედი საპენსიო სისტემა ეგრეთ წოდებულ „სოლიდარულ პრინციპზეა“ დამყარებული, როცა მას სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, რომელიც, თავის მხრივ, დასაქმებულთა გადასახადებით ივსება. **ამჟამად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საპენსიო რეფორმის საკოორდინაციო ოფისი მოქმედებს, რომლის სპეციალისტები სავალდებულო და ნებაყოფლობით სადაზღვევო საპენსიო სისტემების შექმნაზე მუშაობენ.** არსებული ინფორმაციით, ახალი კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად შემოდგომაზე შევა.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, საპენსიო უზრუნველყოფისთვის მილიარდ 300 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული. **სტატისტიკურად ერთი დაქირავებით დასაქმებული, თავისი გადასახადებით, ყოველთვიურად ერთ პენსიონერზე ოდნავ მეტს ინახავს.**

ამასთან, საპენსიო რეფორმების ჩატარების აუცილებლობას საერთაშორისო ექსპერტებიც ადასტურებენ: მსოფლიო ბანკის სპეციალისტების დასკვნის თანახმად, **დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, რამდენიმე წელიწადში საქართველოს მთავრობას დღესდღეობით არსებული საპენსიო ვალდებულებების გამკლავებაც კი გაუჭირდება.** საქმე ის არის, რომ, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, საქართველოს მოსახლეობაც ბერდება, შესაბამისად იზრდება პენსიონერთა რიცხოვნობა და მათზე გასაცემი პენსიების მოცულობა. ამრიგად, ამჟამად მოქმედი საპენსიო სისტემის, ასე ვთქვათ, „სიცოცხლის გახანგრძლივებას“ ორი უაღრესად მძიმე შედეგი ექნება: **ერთი, რომ პენსიონერები მეტ-ნაკლებად ღირსეულ სიბერეს ვერასდროს მოესწრებიან, მეორე კი ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ამ მწირ თანხებსაც ვეღარ გასწვდება.**

აღსანიშნავია, რომ საპენსიო რეფორმა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური თავსატეხია და მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს, რა დროსაც განიხილავენ მოქალაქეთა პენსიაში გასვლის ასაკს, დასამკვიდრებელი სისტემის ავ-კარგს, მოსალოდნელ რისკებს, განხორციელების ვადებს და სხვ. რა გზას დაადგება ამ მხრივ ქვეყნის ხელისუფლება, ამას ახლო მომავალში შევიტყობთ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რომელ პარტიას ეკუთვნი ეძგვერაძე ბარნაბა?

ვის სწყალობს ბიზნესი?

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეისწავლა პოლიტიკური პარტიების დონორების კავშირი სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებთან. გამოკვლევის თანახმად, რომელიც 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 მაისამდე პერიოდს მოიცავს, სახელმწიფო ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტებს უმეტეს შემთხვევაში იღებდნენ სახელისუფლებო პარტიის დონორებთან კავშირში მყოფი შემომწირველები.

წინა წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებისგან შემოწირულობები მიიღეს ოპოზიციურმა პარტიებმაც, თუმცა, მმართველ პარტიასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები რაოდენობის. რა კავშირია პოლიტიკურ პარტიებს, დონორებსა და სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ კომპანიებს შორის?

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 მაისამდე პერიოდში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 700-მდე შემომწირველისგან 8 მილიონამდე ლარის შემოწირულება მიიღო. ნინო ბურჯანაძის პარტიამ „დემოკრატიულმა მოძრაობა – ერთიანმა საქართველომ“ იმავე პერიოდში 300-მდე შემომწირველისგან 2 მილიონ 600 ათასამდე ლარი, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 300-მდე შემომწირველისგან 700 ათასამდე ლარი მიიღო. ამასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის თქმით, პოლიტიკური პარტიების 400-მდე დონორი 875 კომპანიასთანაა დაკავშირებული, პირდაპირი და უშუალო კავშირი კი, 20 შემომწირველის შემთხვევაში, 22 კომპანიასთან იკვეთება:

„2013-2014 წლების განმავლობაში იმ პირებმა, რომლებმაც შესწირეს „ქართულ ოცნებას“, გამარტივებული და კონკურენტული ტენდერით მიიღეს კონტრაქტები, რომელთა საერთო ღირებულება იყო, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი, და აქედან მხოლოდ 10 მილიონი იყო გაფორმებული როგორც გამარტივებული წესით მიღებული“.

ეკა გიგაურის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა, მთლიანობაში, 2 მილიონამდე ლარის, ხოლო „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ დონორებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 1,5 მილიონი ლარის კონტრაქტები მიიღეს. ფრაგმენტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დასკვნიდან:

„ის ტენდენცია, რომელიც ფიქსირდებოდა გასული წლების განმავლობაში, როდესაც თითქმის 99% შემთხვევაში სახელმწიფო ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტებს მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის დონორებთან კავშირში მყოფი შემომწირველები იღებდნენ, არ არის შენარჩუნებული. ასევე, არ

შენარჩუნდა ის ტენდენცია, როდესაც იურიდიულ პირებთან კავშირში მყოფი შემომწირველები მხოლოდ სახელისუფლებო პარტიებს სწირავდნენ თანხებს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირები და მათთან კავშირში მყოფი კომპანიები ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ შემოწირულობებს ახორციელებენ, თუმცა, მმართველი კოალიციის სასარგებლოდ გაკეთებული შემოწირულებები მეტია“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გაკეთებული ამ დასკვნის პასუხად, ოპოზიციურ „ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, რომ ვითარება აღწერილზე მეტად მძიმეა. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რადიო თავისუფლებას“ უთხრა: „ნაციონალურ მოძრაობას“ აღარ ჰყავს შემომწირველები და ჩვენი დაფინანსების 99% არის სახელმწიფო ბიუჯეტით კვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტებისათვის განსაზღვრული დაფინანსება. აბსოლუტურად ყველა შემომწირველს, ვინც კი ჰყავდა „ნაციონალურ მოძრაობას“ წინა წლებში, დღევანდელმა ხელისუფლებამ შეუქმნა სერიოზული პრობლემები და ადამიანებს აღარ უნდათ გაიღონ თანხები „ნაციონალური მოძრაობისათვის“. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მაქსიმალური გამჭვირვალობა იყოს ტენდერების ჩატარების პროცესში, რათა „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდეს ასეთი ხელოვნური შემოწირვების მიღების საშუალება“.

ეკონომისტი დემურ გიორხელიძე კი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებასა და მმართველი პარტიის დაფინანსებას შორის პირდაპირი კავშირი წლებია არსებობს და ხელისუფლების შეცვლით ეს ურთიერთობა არ დარღვეულა:

„საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიზნესია ხელისუფლებაში ყოფნა და, შესაბამისად, შენი მეგობრებისათვის და ვასალი ბიზნესმენებისათვის იმ შეკვეთების მიცემა, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების სახით კეთდება. სახელმწიფო შესყიდვებში ისეთივე სიბნელეა, როგორიც იყო წინა ხელისუფლების დროს. ტენდერები ფორმალურია. იმარჯვებს ის, ვინც ახლოა ხელისუფლებასთან და, ბუნებრივია, ეს წარმოქმნის ვალდებულებებს. არაფერი ახალი არ ხდება“.

პასუხად მმართველ კოალიციაში აცხადებენ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბიზნესი გათავისუფლდა და, შესაბამისად, პარტიების დაფინანსებაც ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რის გამოც ბიზნესი მმართველ პარტიასთან ერთად ოპოზიციურ პარტიებსაც აფინანსებს, თუმცა, როგორც უმრავლესობის წევრი, დეპუტატი გედევან ფოფხაძე ამბობს, თვალსაჩინოა დისბალანსით გამოწვეული უხერხულობა:

„უნდა შევისწავლოთ ეს სტატისტიკა და თუ საჭირო იქნება, უნდა გამოვიდეთ საკანონმდებლო ინიციატივით, რათა სახელისუფლებო პარტიებს შემოწირულობების ზღვრული ოდენობა დავუწესოთ. რაღაც ფორმით უნდა გაჩნდეს იმის წინაპირობა, რომ მმართველ პარტიას არ ჰქონდეს დიდი ფინანსური უპირატესობა სხვა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ კი აცხადებენ, რომ კვლევის შედეგად კანონის დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა, თუმცა, კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებული ეჭვების გასაფანტად ორგანიზაციამ კვლევის მასალები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მაინც გადაუგზავნა.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ მოგილური ინტერნეტი

საზოგადოების ინერტულობა მონოპოლისტებისთვის ოქროს ხანაა

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში ვწერდით, ახალ პირობებში საზოგადოებრივი სექტორის აქტიურობით თუ როგორ გახდა შესაძლებელი წინა ხელისუფლების ხელდასხმული, შემდეგ კი მათივე მხრიდან სასათბურე პირობებში გაფარფაშებული უცხოური ფირმების მიერ კულტურის ძეგლების განადგურებისა და ზოგიერთი რეგიონის ეკოსისტემის ხელყოფის საზოგადოების მოთხოვნით შეჩერება.

მაგრამ, როგორც ექსპერტები და სპეციალისტები აღნიშნავენ, მოსახლეობის პასიურობა შეიგრძნობა მრავალ დარგში. ასეთის მაგალითად ეკონომიკის საკითხებში ექსპერტს ზურაბ კუკულაძეს მოჰყავს მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის დანერგვის შეფერხებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემები. იგი ამბობს, რომ ხელოვნურად შექმნილი დაგვიანებით ზარალობს როგორც ინტერნეტ მომხმარებელი, ასევე სახელმწიფო, კერძოდ, მისი ბიუჯეტი.

ექსპერტის განმარტებით, მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის სიჩქარე, მესამე თაობისგან განსხვავებით დაახლოებით 11-ჯერ მაღალია, დიდი ფაილების საშუალებით 4G ქმნის ოპერირების კომფორტს. – ის დანერგილია მსოფლიოს 35 ქვეყანაში და მიჩნეულია უკაბელო ინტერნეტის ოქროს სტანდარტად, – ამბობს ეკონომისტი და იქვე განმარტავს, – სიახლის დანერგვა დადებითად აისახება ბიუჯეტზე ზრდის თვალსაზრისით, აგრეთვე, მომხმარებელზე ფასების კლების კუთხით. კუკულაძე ამ შემთხვევაში საუბრობს 300 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე, საიდანაც 100 მლნ სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხება, ხოლო დანარჩენი 200 მილიონი აუცილებელია მოხმარდეს ტექნიკურ გადაიარაღებას.

მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის (4G) დანერგვაში ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად ექსპერტთა და ეკონომისტთა ერთი ჯგუფი კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას განიხილავს. მათ მიაჩნიათ, რომ ამ სიხშირეებზე აუქციონის დროულ ჩატარებას სწორედ ეს ორგანო უშლის ხელს. და თვლიან, რომ სიახლის დანერგვას ხელს უშლიდა როგორც ძველი ხელისუფლების დროინდელი, ისე ამჟამინდელი მარეგულირებელი კომისიები, რასაც ამ სფეროში ფარული ლობის არსებობით ხსნიან. კერძოდ კი, ლიდერი კომპანიების მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის შექმნას. ექსპერტები დაკვირვებების შედეგად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მობილურ სფეროში საქართველოში კონკურენცია არ არსებობს. კომპანიებს არც აქვთ კონკურენტულ გარემოში მუშაობის სურვილი.

ეკონომისტები ამბობენ, რომ კარგი ხარისხის მობილური ინტერნეტპროდუქტი მომხმარებელში იმდენად მოთხოვნადია, რომ მისი შემოსვლა, აუცილებლად შეცვლის ბაზარზე სიტუაციას ფასების კუთხით. ისინი იგონებენ იმ პერიოდს, როდესაც ინტერნეტბაზარზე გაჩნდა „ბილაინი“, რომელმაც მნიშვნელოვნად დაწია ფასები. მსგავს რაღაცას ვარაუდობენ მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის ბაზარზე გამოჩენის შემთხვევაშიც.

ამის გამო სპეციალისტები აუქციონის ჩაუტარებლობასაც (წლების განმავლობაში) ლობისტი მობილური ინტერნეტების შემომტანი კომპანიების მონოპოლიურ ქმედებებში ხედავენ.

კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში აცხადებენ, რომ მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის (4G) მომსახურების დასანერგად აუქციონის გამოცხადება მარეგულირებელ კომისიაზე არ არის დამოკიდებული. ამ პროცესისათვის საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციის“ შესახებ კანონში. ჩვენ ამ კუთხით აქტიურად ვმუშაობთ როგორც მთავრობასთან, ისე საკანონმდებლო ორგანოსთანო, აცხადებენ მარეგულირებლები (მაგრამ როდიდან და როდემდე? – **ზ. ბ.**).

ექსპერტებს, სპეციალისტებს ვერ გაუგიათ სიახლის გაჭიანურების რეალური მიზეზი, როდესაც გეოგრაფიულად ჩვენთან დაახლოებულ პირობებში მდებარე ქვეყნებში (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და ა. შ.) მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტი უკვე კარგა ხანია, დანერგილია. საქმეში ჩახედულ ხალხს დღესაც ვერ მიუღია არგუმენტირებული პასუხი იმის თაობაზე, თუ რა არის სიახლის გაჭიანურების მიზეზი.

პასუხისმგებლობას ეკონომიკის სამინისტროშიც გაურბიან და აცხადებენ, რომ მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის აუქციონი მას შემდეგ გამოცხადდეს, რაც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია პარლამენტში საკანონმდებლო დონეზე მოამზადებს „კანონში კომუნიკაციების“ შესახებ სათანადო ცვლილებებს, რომლებიც განხილვის შემდეგ კანონში აისახება. გამოდის, რომ კონკრეტული პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო არ არსებობს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიანჩალიანი

დევნილებს ფართები დაუკანონეს

მთელი საქართველოს მასშტაბით, კიდევ 1000-მდე დევნილ ოჯახს ფართები დაუკანონდა. მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს დევნილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარასველიძემ აცნობა.

მინისტრის განცხადებით, დევნილთათვის ფართების საკუთრებაში გადაცემა მოხდა თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ქუთაისში, ვანში, ზესტაფონში, ხონში, წყალტუბოში და სხვა ქალაქებში. მისივე თქმით, მიმდინარე წლის განმავლობაში 2 200-ზე მეტი ოჯახი გახდა მესაკუთრე.

– მთავრობამ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა და დევნილი საზოგადოების მხარდაჭერის თვალსაზრისით დიდი აქცია განახორციელა. მთელი საქართველოს მასშტაბით 1000-მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდა საკუთრებში ფართები – მათ შორის, ყველაზე მეტია თბილისში, ისეთ პრესტიჟულ ადგილებში, როგორიცაა წყნეთის დასახლება, თბილისის ზღვის დასახლება. 1000 ოჯახი ეს არის 3000-3500-მდე ადამიანი, რომლებიც სერიოზული კაპიტალის მფლობელები გახდნენ, – განაცხადა დავით დარასველიძემ.

მინისტრის თქმით, უახლოეს მომავლში რამდენიმე ასეთი გადაწყვეტილების მიღება იგეგმება.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნატომ საქართველოს და ჩერნოგორიას სთხოვა, ცოტა მოიცადონ

ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოილაპარაკეს სასწრაფო ზომების მიღების შესახებ თავიანთი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის და დაგვპირდნენ, შეაიარაღონ უკრაინის არმია.

ბრიუსელში ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გახდა უკანასკნელი ნაბიჯი უელსში ალიანსის სექტემბრის სამიტისათვის მზადებაში, რომელიც, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ ელოდებოდნენ ევროპაში, ბედის შემცველი უნდა გახდეს.

მაგალითად, არ გამორიცხავდნენ, რომ სწორედ უელსში შეხვედრის დროს ალიანსის სახელმწიფოთა მეთაურები შესთავაზებენ საქართველოს ორგანიზაციაში წევრობის მოქმედებათა გეგმას — ეს პრაქტიკულად არის ინსტრუქცია კონკრეტულ მოქმედებათა შესახებ

თავიანთი თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესების საქმეში, რისი შესრულების შემდეგაც ქვეყანა უნდა მიიღონ ნატოში.

მაგრამ ალიანსის ხელმძღვანელმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ორგანიზაციის წევრი, თუმცა, აღნიშნა ასევე, რომ ჯერჯერობით ნატო მუშაობს მხოლოდ იმ წინადადებებზე, რომლებიც დაეხმარება ორგანიზაციას „მიუახლოვდეს“ „ალიანსს“. მაპისაგან განსხვავებით ასეთი პაკეტები არ წარმოადგენენ ერთმნიშვნელოვან სიგნალს სახელმწიფოსათვის, იმის მზადყოფნის შესახებ, რომ მას მიიღებენ ორგანიზაციის შემადგენლობაში.

არ გახდა ნათელი ნატოს ერთ-ერთი შესაძლებელი წევრის — ჩერნოგორიის ბედიც. ქვეყნის ხელმძღვანელობა მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან 2006 წელს აცხადებდა სურვილს — შეერთებოდა ალიანსს, მაგრამ ამჟამად ბრიუსელში რასმუსენმა შეძლო მხოლოდ დაპირებოდა მას, რომ 2015 წლის ბოლომდე ორგანიზაციის ჩინოვნიკები „მიიღებენ გადაწყვეტილებას, მიიწვევენ თუ არა ჩერნოგორიას, შეუერთდეს ნატოს“.

ოდესღაც ალიანსის გაფართოვების პირველხარისხოვანი საკითხის მეორე პლანზე გადასვლის მიზეზი გახდა კონფლიქტი უკრაინაში. პირველად მრავალი წლის განმავლობაში ევროპაში მასშტაბურ საბრძოლო მოქმედებებს შეეჯახნენ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც გადაწყვიტეს, მიხედონ საკუთარი ორგანიზაციების რეფორმირებას, თითქოსდა, როგორც ჩინოვნიკები განმარტავენ, რათა არ დაუშვან მოვლენათა ამგვარი განვითარება ნებისმიერ იმ ქვეყანაში, ვინც ალიანსში შედის.

ჯერჯერობით კონკრეტული წინადადებები რეფორმირების შესახებ, ყოველ შემთხვევაში საჯაროდ, გამოთქმული არ ყოფილა, მაგრამ სექტემბრისათვის ბრიუსელის შეხვედრის მონაწილეები გვპირდებიან, მოამზადონ მოქმედებათა გეგმები შესაძლო გამოწვევებისთვის.

ნატოს ხელმძღვანელები უკვე მერამდენედ თავიანთ მთავარ საფრთხედ რუსეთს ასახელებენ.

— რამდენიმე კვირის წინათ, რუსეთმა უკრაინის საზღვრებიდან გაიყვანა თავისი 40-ათასიანი კონტინგენტი, რომელიც ჩვენ აღვიქვით, როგორც ნაბიჯი სწორი მიმართულებით. საზღვარზე მაშინ დარჩა დაახლოებით ათასი რუსი სამხედრო, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ რუსეთმა დაიწყო კიდევ 2 ათასი კაცის გადასროლა იქითკენ. ამან დაადასტურა ჯერ კიდევ აპრილში მიღებული გადაწყვეტილების სისწორე პრაქტიკული თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ ნატო-რუსეთის ხაზით. ჩვენ ველოდებით, რომ რუსეთი მაინც გახდება ჩვენი პარტნიორი, პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენტეტს და მათს ტერიტორიულ მთლიანობას. თანამშრომლობის პოლიტიკური არხი ღიაა. ჩვენ ველოდებით კონკრეტულ ნაბიჯებს მოსკოვიდან, რომლებიც მიზნად ისახავენ ვითარების სტაბილიზაციას, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ნატოსთან დუგლას ლიუტმა.

ამავე დროს, ნატო მიესალმება რუსეთის ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებას იმ კანონის გაუქმების შესახებ, რომელიც ნებას აძლევს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, გამოიყენოს არმია მოქმედებებისთვის უკრაინაში. ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური უწოდა მას შეხვედრაში მონაწილე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაველ კლიმკინმა, აღნიშნა, რომ ეს ემსახურება კონფლიქტის დეესკალაციას.

პაველ კლიმკინმა განაცხადა აგრეთვე ნატოს მზადყოფნის შესახებ აწარმოოს დიალოგი რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციისთვის ორ ქვეყანას შორის.

უკრაინის ძირითად პარტნიორებად ქვეყნიდან ვიქტორ იანუკოვიჩის გაქცევისა და ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, აღნიშნავენ საგარეო საქმეთა სამინისტროში, გახდნენ დასავლეთი ევროპის ქვეყნები და ნატოს წევრები. უკრაინას განზრახული აქვს, განავითაროს თანამშრომლობა დასავლეთთან ყველა მიმართულებით, მათ შორის უსაფრთხოების სფეროშიც. ნატოში აღნიშნავენ ქვეყნისთვის პირდაპირი სამხედრო დახმარების შეუძლებლობას. იმ ქვეყნისთვის, რომელიც ალიანსში არ შედის. მიუხედავად ამისა, ისინი მზად არიან, მონაწლეობა მიიღონ უკრაინის არმიისა და უშიშროების ძალების საბრძოლო მზადყოფნის გაზრდაში. ამისათვის სპეციალურად შეიქმნება სამი სატრასტო ფონდი, რომლის მეშვეობითაც ალიანსის წევრებს განზრახული აქვთ დააფინანსონ უკრაინის ჯარისკაცებისა და ოფიცრების მომზადებისა და სწავლების პროგრამები. კონკრეტული თანხები ფონდებისა და პროგრამების დაფინანსებისათვის უკრაინის არმიის განსამტკიცებლად მიღებული უნდა იქნეს სამიტზე უელსში.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიწონა რუსეთის ფედერალური საბჭოს მოქმედება, რომელმაც გააუქმა პუტინის ნებართვა უკრაინაში ჯარების შეყვანაზე

„დადგენილების გაუქმება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია“, — აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა. ამ დროს, მისი სიტყვებით, რუსეთისგან ელოდებიან შემდგომ მოქმედებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ უკრაინის კონფლიქტის დეესკალაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაშინგტონი მოსკოვს სანქციებით ემუქრება.

ზავი უკრაინულად: აფეთქებები კრემატორსკის აეროდრომზე, მატლები მინაში და სროლები

გასული დღე-ღამის განმავლობაში დონეცკის ოლქში შვიდჯერ ააფეთქეს რკინიგზის ხაზი, სროლები მიმდინარეობდა სლავიანსკში და კრემატორსკის აეროდრომის რაიონში. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებამ განაცხადა ძალოვანების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ. ხალხი იღუპება ქალაქ ანტრაციტში ყუმბარმტყორცნის სროლის შედეგად მოკლეს ჩვილი. პოროშენკო კი სტრასბურგს გაემგზავრა, რათა წარუდგინოს ეუთოს კონსტიტუციის პროექტი.

სამხრეთი კორეის პრეზიდენტმა არ მიიღო პრემიერის გადადგომა, რომელმაც გადანყვიტა, წასულიყო ბორან „სევოლის“ დაღუპვის შემდეგ

ჩონ ხონ ვონმა აპრილის ბოლოს შეიტანა თხოვნა გადადგომის შესახებ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომ მთავრობა დამნაშავეა ბორან „სევოლის“ ტრაგედიაში. სახელმწიფოს მეთაური პაკ კინ ხე დაჰპირდა, მიიღოს გადადგომა, მაგრამ მას შემდეგ უმალვე ორმა კანდიდატმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე უარი განაცხადა ამ თანამდებობის პრეტენზიაზე.

მოთარეშეებმა ერაყში ხელში ჩაიგდეს ერთ-ერთი უდიდესი ავიაბაზა და რამდენიმე ნავთობის საბადო

ისლამისტებმა ხელში ჩაიგდეს აჯილის რაიონი ტიკრიტიდან 30 კილომეტრის აღმოსავლეთით და ბაღდადიდან 130 კილომეტრის დაშორებით, სადაც განლაგებულია სამი ნავთობსაბადო და საიდანაც მოიპოვებენ დაახლოებით 28 ათას ბარელ ნავთობს დღე-ღემეში. თავდაპირველად აჯილს აკონტროლებდა პოლიცია, მაგრამ რადიკალების მათ მიერ ხელში ჩაგდების შიშით სამართალდამცავმა ორგანოებმა რაიონი დატოვეს.

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში



20 ივნისი
აქცია წმინდა გიორგის სასახლეში

მე არ ვიცი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის სულხან-საბა ორბელიანის სახელისა და საქმის მიმართ, მაგრამ ფაქტი ერთია: როცა ქვეყანას ძალიან გაუჭირდა და როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, ორივემ ევროპას მიმართა დახმარების თხოვნით.

სულხან-საბა ორბელიანმა ამ მიზნით ევროპაში იმოგზაურა და საფრანგეთის მეფესა და რომის პაპს შეავედრა მტრებით გარემოცული საქართველო. უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ კი მემორანდუმი გაუგზავნა გენუის სამშვიდობო კონფერენციას, რომელშიც 29 ქვეყნისა და დიდი ბრიტანეთის ხუთი დომინიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონფერენცია 1922 წლის 10 აპრილიდან 20 მაისამდე მიმდინარეობდა გენუის სან-ჯორჯოში— წმინდა გიორგის სასახლეში. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მემორანდუმი კონფერენციაზე არ წაუკითხავთ და დოკუმენტად არ მიუღიათ. ისევე, როგორც სულხან-საბას შემთხვევაში, ევროპა თითქმის ორი საუკუნის შემდეგაც ბრმა, ყრუ და მუნჯი აღმოჩნდა საქართველოს პრობლემების მიმართ.

თუმცა, მემორანდუმი მთლად ურეაქციოდ არ დარჩენილა. როგორ თუ ევროპას მიმართეს დასახმარებლად და როგორ თუ ოკუპაციას ოკუპაცია უწოდეს და დამოუკიდებლობის დაკარგვას დამოუკიდებლობის დაკარგვაო — და ამბროსი კათალიკოსი ახალმოვლენილმა კომუნისტებმა გაასამართლეს. უწმინდესმა პატრიარქმა ორი წელი მეტეხის ციხეში გაატარა. სწორედ პატიმრობისას უთქვამს მას ის თავისი ცნობილი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალნო!“

ევროპისაკენ მზირალი და ევროპის მხარდაჭერის მძებნელი სულხან-საბა ორბელიანი წვერით ათრიეს სვეტიცხოვლის ეზოში, ევროპისკენ მზირალი და ევროპის მხარდაჭერის მძებნელი კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია კი ციხეში ჩასვეს.

არ შეიძლება, ქართველი კაცი გენუაში იყო, ჩაუარო სან-ჯორჯოს მოხატულ სასახლეს და კათალიკოს ამბროსის მემორანდუმი არ გაგახსენდეს. გენუაში წინა ჩამოსვლაზევე მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ მაშინ დარბაზში ვერ შევაღწიე, დაკეტილი იყო და არც არავინ ჩანდა გამღები. მინდოდა, ამბროსი პატრიარქის მემორანდუმის ტექსტი წამეკითხა ამ ისტორიულ კედლებში.

ეს ჩემი იდეა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღეებში. თანაც იგი ლოგიკურად ჩაჯდა ჩვენი პროექტის ფარგლებშიც.

დარბაზში შევედი და ამბროსი ხელაიას ტექსტის კითხვა დავიწყე. ბონდო ქურდაძე ხან ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა, ხან ვიდეოკამიერით აღბეჭდავდა ერთი ადამიანის ამ აქციას. რამდენიმე იტალიელმა გამოიხედა თუ შემოიხედა, სამმა გვერდითაც ჩაგვიარა, მაგრამ ქართული ენას ვერაფერი გაუგეს და ყურადღება არ მომაქციეს.

მე კი ტექსტი ბოლომდე ჩავიკითხე და ვალმოხდილი გამოვედი სან-ჯორჯოს სასახლიდან. მთელი 92 წლის დაგვიანებით ევროპაში, გენუაში, სწორედ იმ დარბაზში, სადაც 1922 წელს სამშვიდობო კონფერენცია გაიმართა, ქართული სიტყვა გაისმა.

ქართული საუბარი მონაკოშიც გაისმა, პრინცის სასახლეში, როცა მე და ელჩმა ეკა სირაძე-დელონემ ერთმანეთში რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ ჩურჩულით. მაგრამ ეს მაინც სხვა იყო — სან-ჯორჯოში მე საგანგებოდ დავდექი გამოსაჩენ ადგილას და საგანგებოდ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, თუმცა, ჩემი ამ აქციით, ვიმეორებ, არავინ დაინტერესებულა.

ევროპა გულგრილია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე გულგრილი იყო. იმედია, 27 ივნისიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება. და მაშინ ყველამ უნდა გავიხსენოთ და ყველას უნდა გავახსენოთ სულხან-საბას სიტყვები, რომლებიც ზუსტად შეეძლო გაემეორებინა დღეს უკვე წმინდანად შერაცხილ პატრიარქ ამბროსის:

„ჩემს უკან, ღმერთმან ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას“.

ღმერთმან ქნას!

კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა,

ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს სივრცით პატარა, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამისდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებული იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროვებას.

ამიტომ 1917 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის.

რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილი საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.

თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელთაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ თავისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამაპაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმიდათაწმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველი ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებააყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა.

ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში. მაგრამ არ შემიძლია, არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათაგან ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოისა,

7/II-22 წ. ტფილისი

21 ივნისი
ფოტოგენუ(უ)რი გენუა

გენუა, მარსელისა არ იყოს, ჩემი მეზღვაურული წლებიდან განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს. ის თუ გრაფ მონტე-კრისტოს ქალაქია, ეს კოლუმბის სამშობლოა, ბოლოს და ბოლოს! საერთოდაც, გენუა მრავალმხრივ არის გამორჩეული. ათასი რამ იპყრობს აქ ჩამოსული მოგზაურის ყურადღებას — დაწყებული ანტიკური ძეგლებიდან, დამთავრებული მეკობრეთა ხომალდის ზუსტი ასლით, რომელიც რომან პოლანსკიმ ააგებინა 1986 წელს თავისი ფილმისათვის „მეკობრეები“.

რომებით და ფლორენციებითა და მილანებით განებივრებულ ტურისტებს გენუა ყურადღების მიღმა რჩებათ ხოლმე. სულ ტყუილად! იტალიაა ასეთი მდიდარი, თორემ რომელიმე სხვა ქვეყანას მხოლოდ ეს ერთი ქალაქი მოუტანდა სახელსა და დიდებას!

ჩვენს მიერ დღემდე ჩამო(ს)ქროლილ ქალაქებს შორის გენუა ყველაზე ფოტოგენურია და მას ამ მხრივ მხოლოდ მონაკო და მარსელი თუ შეედრება. პირველად ამ ქალაქის ფოტოგენურობაში 2006 წელს დავრწმუნდი, როცა საფუძვლიანად დავათვალიერე იგი ჩემს მეგობრებთან — იტალიაში საქართველოს მაშინდელ ელჩთან ზაზა გოქსაძესთან და საელჩოს თანამშრომელ ვატო ანდღულაძესთან ერთად. მაგრამ წელს გენუამ განსაკუთრებით მოინდომა — თუ სწორად გავიგე, 21 ივნისს კათოლიკური ორდენის „კორპუს დეის“ დღესასწაული იყო, რომელიც გენუის ცენტრში დიდი მსვლელობითა და სან-ლორენცოს კათედრალის წინ ჩატარებული წირვით აღინიშნა.თითქოს საგანგებოდ ჩვენი პროექტისთვის დაედგათ ეს სანახაობა. თითქმის ყველაფერი ისე იყო, როგორც სულხან-საბა ორბელიანის დროს. რომან პოლანსკისაც კი გაუჭირდებოდა ასე ზუსტად აღედგინა ეს ეპოქა. მეც მეტი რა მინდოდა, ვაჩხაკუნე და ვაჩხაკუნე ჩემი, უფრო სწორად, ბადრი ვადაჭკორიას „ნიკონი“.

სამდღიანი ფოტოგენუური სესიიდან ათი ფოტო შევარჩიე ჩვენი გვერდისთვის და ორი მათგანი სწორედ ამ შთამბეჭდავ სანახაობას ასახავს.

პაატა ნაცვლიშვილი,
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.

◎ მუნდიალი – 2014

მესამე და სამართალი

აძამდე მესიზე საუბრისას მისი ტალანტის ოპონენტები არცთუ უსაფუძვლოდ ქირქილებდნენ – რა დროს მისი მარადონასთან შედარებაა, ჯერ არგენტინის ნაკრებს მოაპოვებინოს მსოფლიო ჩემპიონობა და ამ თემაზე შემდეგ ვიმსჯელოთო.

ბრაზილიურ ფორუმამდე ლეომ ორ მუნდიალზე ითამაშა და მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, უგოლოდ კი, მოგეხსენებათ, ვერც ტიტულს მოიპოვებ და ვერც ლეგენდარული თანამემამულის გვერდით დაიმკვიდრებ ოლიმპზე ადგილს.

ეტყობა, „ბარსელონის“ ლიდერმა გაითვალისწინა ძველი შეცდომები და კატალონიურ გრანდში ჩაგდებული სეზონის შემდეგ ბრწყინვალედ გამოიყურება ყავის სამშობლოს სტადიონებზე, სადაც ჯგუფური რაუნდი მასპინძელთა კერპისა და, სხვათა შორის, ესპანეთში თანაგუნდელის ნეიმარის მსგავსად 4 გოლით დაასრულა.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენად შესწევთ საბელიას შეგირდებს თავზე გვირგვინის დადგმის უნარი, მაგრამ ამჯერად რომ მათ 26 წლის კაპიტნის სახით ჭეშმარიტი ბელადი ჰყავთ, ფაქტია.

არის კიდევ ერთი გარემოება, რაც ლა-პლატელთა გულშემატკივრებს ოპტიმიზმით აღავსებს – ჰოლანდიისა და კოლუმბიისა არ იყოს, მათაც ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს საწყის ეტაპზე, თანაც დილეტანტიც კი მიხვდება, რომ ჯერ მაქსიმალური სიჩქარეები არ ჩაურთავთ დი მარიას, აგუეროსა და იგუაინს, ეს კი, დაგვეთანხმებით, ის რეზერვია, რომელიც პლეი-ოფებში უნდა ამოქმედდეს და ამბიციურ სამრეთამერიკელებს მორიგი, უკვე ასე ნანატრი ტრიუმფი მოუტანოს.

საშუალედო ფინიშზე ცალმხრივი შეფასება რომ არ დაგვწამონ, ვაღიაროთ, რომ მეკარე რომერო და დაცვა არგენტინელთა აქილევსის ქუსლია, რომლის გაბათილებაც მესის გენიას შეუძლია.

გიორგი შოთაძე

◎ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

ფიფა სუარესს 24-მატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემს?!

მოგეხსენებათ, იტალიისა და ურუგვაის ნაკრებების მატჩის 78-ე წუთზე „ლივერპულის“ ვარსკვლავს ლუის სუარესს ძველი დრო გაახსენდა და თავისი „სუპერკბილებით“ ჯორჯო კიელინის მხარში ჩააფრინდა.

ამდაგვარი ინციდენტი პირველი არაა – ურუგვაელ ფორვარდს მსგავსი რამ უწინაც ხშირად გაუკეთებია და უმეტეს შემთხვევაში სამართლიანად დასჯილა. ახლა კი მთელი საფეხბურთო სამყარო ელის, ამჯერად რა სანქციას დაუწესებს ფიფა 27 წლის ფეხბურთელს.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტილებას დღეს გამოიტანს. მანამდე კი არაოფიციალური წყაროები იტყობინებიან, რომ ფიფადან გაჟონა ინფორმაციამ, თუ სუარესს ბრალდება დაუმტკიცდება, სულ მცირე 24-მატჩიანი დისკვალიფიკაციით „დასაჩუქრდებაო“.

შეგახსენებთ, რომ თავად ურუგვაელი აცხადებს, კიელინის უბრალოდ შევეჯახე და არაფერი კბენის მსგავსი არ ყოფილაო, მაგრამ იტალიელმა მცველმა „ნივთმტკიცება“ უკვე წარმოადგინა და თან სუარესს ლაჩარი და ნაძირალა უწოდა.

რუსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი

2007 წლის მსოფლიო თასის ფინალის მსაჯი – ბორჯღალოსნების შეკრებაზე

ცნობილი ირლანდიელი რეფერი ალან როლანი, რომელმაც სამსაჯო კარიერა ცოტა ხნის წინათ დაამთავრა, თბილისის თასზე ხუთი დღის განმავლობაში საქართველოს სტუმრობდა.

ყოფილმა 9 ნომერმა, რომელმაც „ლეინსტერის“ შემადგენლობაში 40 მატჩი ჩაატარა და 3-ჯერ მოირგო ირლანდიის კვართი, საარბიტრო კარიერის დასასრულს 2014 წლის „ჰეინეკენის თასის“ ფინალი იმსაჯა „ტულონსა“ და „სარაცენსს“ შორის.

13-წლიანი კარიერისა და სამი მსოფლიო თასის, მათ შორის 2007 წლის ფინალის შემდეგ ალან როლანი რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით თავის გამოცდილებას უზიარებს მეორე დონის ისეთ სარაგბო ქვეყნებს, როგორებიცაა საქართველო და რუმინეთი.

მისი საქართველოში ჩამოსვლის მიზანს ქართული სამწვრთნელო შტაბისა და მოთამაშეების დახმარება და სამსაჯო კუთხით გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. მან განაცხადა: „საქართველოში რაგბის საერთაშორისო საბჭოს დავალებით ვიმყოფები. ჩემი ვიზიტის მიზანს წარმოადგენს სამსაჯო კუთხით 2015 წლის მსოფლიო თასისთვის ქართული სამწვრთნელო შტაბისა და მოთამაშეების მომზადება. ცოტაოდენი ხანი „ბორჯღალოსანთა“ საწვრთნელ შეკრებაზე დავყავი, სადაც მათ ზოგადი წარმოდგენა შევუქმენი, თუ რას მიაქცევენ მსოფლიო თასზე მსაჯები დიდ ყურადღებას“.

ალან როლანი საქართველოს ნაკრების რამდენიმე მატჩის არბიტრი გახლდათ. პირველად მან 2002 წელს იმსაჯა საქართველოსა და რუსეთის შეხვედრა, რომელიც 2003 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის გადამწყვეტი მატჩი იყო. მეორედ იგი 2003 წლის მსოფლიო თასზე საქართველოსა და სამოას მატჩზე ვიხილეთ, 8 წლის შემდეგ კი ალან როლანი ახალ ზელანდიაში „ბორჯღალოსანთა“ და არგენტინელი „პუმების“ შეხვედრას გაუძღვა.

„ქართველები ძალიან ძლიერები არიან. მათ ტრადიციულად ღონიერი შერკინება ჰყავთ. შესაძლოა, მათ უკანა ხაზს დროდადრო უჭირდა უპირატესობის მოპოვება და შერკინებისათვის გადაწყობის შესაძლებლობის მიცემა, მაგრამ ამ ბოლო დროს გუნდი კარგად დაბალანსდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირზე საფრანგეთში მოთამაშე ქართველი მორაგბეები თითქმის არ არიან, მათი და სხვა მოთამაშეების საქმისადმი პროფესიონალურმა მიდგომამ ქართულ რაგბიში ბევრი რამ შეცვალა. ამ მიდგომამ ის საჭირო ბალანსი მოიტანა, რომელიც გუნდს ათიოდე წლის წინათ აკლდა, როდესაც პირველად ვუმსაჯე მათ“.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

რუბიკონი გადალახეს

ლოპოტაში მიმდინარე მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა გრან პრის მე-5 ეტაპის გათამაშებაზე 12 უძლიერესი დიდოსტატი ქალბატონი იბრძვის წრიული სისტემით მთავარი პრიზის მოსაპოვებლად. ასპარეზობის მონაწილეებმა რუბიკონი გადალახეს. მე-6 ტურში კვლავ იყოჩაღა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც შავი ფიგურებით ჩინელ ჟაო სიუსთან დაპირისპირებისას მიტელშპილში საგრძნობ უპირატესობას მიაღწია, 43-ე სვლაზე კი აზიელს საათი გააჩერებინა და გათამაშების ცხრილში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა.

ლიდერის პოზიცია განიმტკიცა ჩინელმა ჰოუ იფანმა. თეთრი ფიგურებით მან 49-ე სვლაზე თანამემამულე სიუ ვენძიუნს მოუგო. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0,5:0,5, ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 0:1, ბელა ხოტენაშვილი-ანა მუზიჩუკი (უკრაინა) 0:1. ინდოელ ჰამპი კონერუს თანამემამულე ჰარიკა დრონავალის დასამარცხებლად 96 სვლა დასჭირდა.

ექვსი ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი – 5,5, ძაგნიძე – 5, ვენძიუნი, მუზიჩუკი – 4-4, დრონავალი, კონერუ – 3.5-3,5, დანიელიანი, სტეფანოვა – 3-3, კოსტენიუკი – 2, ჟაო სიუ, ხოტენაშვილი – 1-1, მუმინოვა – 0,5 ქულა.

გივი გაგუა

◎ ფარიკაობა

ამჯერად – კვარცხლბეკს მიღმა

სასპორტო კომპლექს „არენაში“ გრძელდება 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი. ასპარეზობის მეორე დღე რაპირისტ ქალებსა და დაშნით მოფარიკავე ვაჟებს დაეთმო. საქართველოს სპორტულ ღირსებას 4-4 სპორტსმენი იცავდა. პირველი დღისაგან განსხვავებით, ამჯერად ჩვენები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ, არადა, თეონა გოგლიძე ახლოს იყო მიზანთან:

ქვეჯგუფში მან დაამარცხა აზერბაიჯანელი მარიამ მალიკოვა (5:1), პოლონელი მარტინა დლუგოჟი (5:3) და ბელორუსი ალიაქსანდრა კრიცინა (5:4), ხოლო რუს ირინა ელესინასა (1:5) და იტალიელ ალისე ვოლპის (1:5) დანებდა. პლეი ოფის პირველ პაექრობაში თეონამ პოლონელ ანა ჟიმზაკს სძლია – 15:11 და მეოთხედფინალში გავიდა, იქ კი მეორე პოლონელმა – მარიკ ჩჟანოვსკამ აჯობა 15:10 და საბოლოოდ მე-6 ადგილს დასჯერდა. დანარჩენმა სამმა მოფარიკავემ – მარიამ ცუხიშვილმა, ანა მელიამ და ლიკა ჯიჯეიშვილმა, შესაბამისად, მეთვრამეტე-მეოცე ადგილები გაიყვეს.

ვერც ვაჟებმა იყოჩაღეს დაშნაში: ლევან ფცქიალაძემ ჯგუფში მხოლოდ ერთ შეხვედრაში მიაღწია წარმატებას, ორ-ორი მეტოქე დაჯაბნეს ირაკლი ამბროლაძემ, გიორგი ქაფიანიძემ და მიქაელ მიქაელიანმა, მაგრამ პლეი ოფში პირველივე ორთაბრძოლები წააგეს.

ორივე სახეობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **რაპირა. ქალები.** 1. მარტინა ელინსკა (პოლონეთი), 2. ადელინა ზაგიდულინა (რუსეთი), 3. მარიკ ჩჟანოვსკა (პოლონეთი), ოლივია ვოლგემუტი (ავსტრია). **დაშნა. ვაჟები.** 1. დმიტრი გუსევი (რუსეთი), 2. ანდრეა სანტარელი (იტალია), 3. ჩჟან-შან ლიუ (რუსეთი), ემანუელ როკო (იტალია).

ლექსო ცინცაძე

სურათზე: თეონა გოგლიძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ კალათბურთი

მანუ ჯინობილი მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს

NBA-ს 2013-14 წლების საკალათბურთო სეზონის ჩემპიონ „სან ანტონიო სფურზისა“ და არგენტინის კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრმა მანუ ჯინობილიმ 2014 წლის კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, რომელსაც ესპანეთი უმასპინძლებს.



ამის შესახებ განცხადება თავად ჯინობილიმ გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ ჯინობილიმდე მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ეროვნულ ნაკრებში თამაშის სურვილი ამ ქვეყნის კიდევ ერთმა ცნობილმა კალათბურთელმა, „ინდიანა პეისერზის“ წევრმა ლუის სკოლამ გამოთქვა.

მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე არგენტინის მეტოქეები ხორვატეთი, საბერძნეთი, პუერტო-რიკო, ფილიპინები და სენეგალი იქნებიან.

ჯინობილიმ, რომელიც მალე 37 წლის გახდება, 2013-14 წლების NBA-ს ჩემპიონატში საშუალოდ 12 ქულა, 3 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საკადრისი გამოცემა

ამ ალბომში მოქანდაკის უკვდავებას ვხედავთ!..



ვინც მისი ფასი იცის, ყველამ მიულოცა მერაბ ბერძენიშვილს დაბადების 85 წლისთავი. დიახ, დიახ, „ვინც მისი ფასი იცის“, თორემ მიშა სააკაშვილსა და მის „ბანდას“ ღმერთმა ნურც აცოდინოს სიბერის ჟამს, უსირცხვილოდ, დაუნდობლად რომ ატკინეს გული ქართველი ერის საამაყო ხელოვანს (ეს ისე, ვეღარ მოვითმინე).

სწორედ ამ დღეებში, მერაბ ბერძენიშვილის საიუბილეო დღეებში, გამოვიდა უმშვენიერესი, ულამაზესი ალბომი, რომელშიც განფენილია ბერძენიშვილის თითქმის მთელი შემოქმედება, ანუ, ჭეშმარიტად, მისი უკვდავება.

ამ რამდენიმე დღის წინათ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართა ამ ალბომის წარდგენა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ახალგაზრდობა...

შეხვედრაზე საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ საზეიმოდ გადასცა მერაბ ბერძენიშვილს სწორედ სამინისტროს მიერ დაწესებული ჯილდო – **„ხელოვნების ქურუმი“,** რომელიც სწორედაც რომ შეეფერება ბატონ მერაბს. ჩვენ, მის უმცროს მეგობრებს, ისღა დაგვრჩენია, დიდხანს ჯანმრთელი სიცოცხლე ვუსურვოთ ქართული სახვითი ხელოვნების დიდოსტატსა და ქურუმს!

ვილენ მარდალეიშვილი

კაკულიების საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გვარის ერთ-ერთი საამაყო პიროვნების, მიუხედავად დევნილობაში გადატანილი არაერთი გაჭირვებისა, ყოველთვის კაცთმოყვარეობისა და სიკეთის მთესველი მამულიშვილის, კარგი მეოჯახისა და მეგობრის

ნოდარ კაკულიას

მოულოდნელად გარდაცვალების გამო. კაკულიები მოკრძალებით თავს ვხრით მის წინაშე.

სანთელი

ლელა ჭანკვეტაძე 27 ივნისს 50 წლის გახდებოდა

შესანიშნავი პიროვნება, თანამშრომლების, ნათესავების, ახლობლების მოსიყვარულე ადამიანი, რომლის უდროოდ წასვლა მოუშუშებელ იარად დარჩა ყველა იმ ადამიანის გულში, ვინც მას იცნობდა.

უდიდეს ტკივილს ატარებს დედა, რომელიც ეკლესიური ცხოვრების წესით და ლოცვებით ცდილობს ამ მოურჩენელი დარდის განქარვებას. ნათელ მოგონებად არის დარჩენილი ლელა ჭანკვეტაძის სახე. ძმის, ძმისშვილების და ყველა ახლობლის გულში.

თენგიზ ქავთარაძე

◎ კრიმინალი

თაღლითები დააკავეს

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა IGC RED STAR-ის დირექტორი მერაბ არეშიძე, შპს „გულადის„ დირექტორი ჯამბულ ჭუმბურიძე და შპს „ირაკლის“ დირექტორი გიორგი მუმლაძე დააკავეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გამოძიებით დადგინდა, რომ მერაბ არეშიძემ, ჯამბულ ჭუმბურიძემ და გიორგი მუმლაძემ იმისათვის, რომ საქონლის იმპორტირებისას ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდისთვის თავი აერიდებინათ და სახელმწიფოს ვერ მოეხდინა დარიცხული გადასახადის ამოღება, სოციალურად დაუცველ, არარეზიდენტ და ხშირ შემთხვევაში, ნასამართლევ პირებს სხვადასხვა შპს-ები დააფუძნებინეს, აღნიშნული შპს-ები კი, საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვისას გადახდის უუნაროები არიან.

ამ საწარმოების სახელით, საქართველოში იმპორტირებული იქნა 803 680 ლარის სხვადასხვა დასახელების ხილ-ბოსტნეული, რომელთა განბაჟებიდან 5 დღის გასვლის მიუხედავად, ზემოაღნიშნული პირების მიერ არ იქნა გადახდილი იმპორტის გადასახადი, რითაც საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტს 265 048 ლარის ზიანი მიადგა.

◎ მისაღები გამოცდები

ცხელი ცხელებაა

გრილ

ივნისში

სულ ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის ბოლო ზარმა დაიწკრიალა, უკან დარჩა ბავშვობისა და მოზარდობის სანუკვარი წლები. ახლა ბევრი მათგანი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხანის კარიბჭესთან დგას, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია.

თუმცა კი, ვიდრე ეს კარიბჭე მათთვის ფართოდ გაიღებოდეს, უაღრესად პასუხსაგები საქმე აქვთ გასაკეთებელი – უმაღლესი განათლების მიღების ყველა მსურველმა, არჩეული სპეციალობებისდა შესაბამისად, მისაღები გამოცდები უნდა ჩააბაროს.

მათგან პირველი – ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სწორედ გუშინ დილის 8 საათზე საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ერთდროულად დაიწყო. ბუნებრივია, რომ იმ 36 ათას აბიტურენტთან ერთად, ვინც ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს აბარებს, ქომაგობის არც თუ იოლ გამოცდას მათი მშობლები და ახლობელ-მეგობრებიც აბარებენ. გამოცდების დაწყების თაობაზე რეპორტაჟის მოსამზადებლად საქართველოს პოლიტექნიკრი უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს მივაშურეთ, რომლის წინ აბიტურიენტთა გულშემატკივრებიც ვნახეთ და თავად ისინიც, ვინც ტესტი უკვე ჩააბარა. გამოცდიდან გამოსულმა უკლებლივ ყველა ახალგაზრდამ ერთხმად აღნიშნა, რომ შიგნით ძალიან მშვიდი გარემოა, ტესტები კი მათთვის ძალიან ადვილი იყო, რაც კარგად მომზადებულებისთვის სრულიად ბუნებრივია, გულშემატკივრებმა კი მათ მიმართ მზრუნველობა აღნიშნეს. უნივერსიტეტის მთავარ კორპუსთან საგანგებოდ სკამები და მოსაჩრდილებელი სოკოებია დადგმული, იყიდება გამაგრილებელი სასმელები, ნაყინი, სახელდახელო საკვები, საზოგადოებრივ წესრიგს საპატრულო პოლიციის რამდენიმე განწესი, ნერვული სტრესებისგან დაცვას კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა უზრუნველყოფს.

და კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ბევრის გაოცება გამოიწვია უნივერსიტეტთან ბადრაგის ორი მანქანის გამოჩენამ. საქმე ისაა, რომ უმაღლესში ჩაბარების შესაძლებლობა იმ არასრულწლოვანებსაც მიეცათ, ვინც ამჯერად სხვადასხვა მიზეზით სასჯელს იხდიან.

ჩვენი მხრივ, უკლებლივ ყველა აბიტურიენტს წარმატებას ვუსურვებთ!





ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ჩვენი კარაბადინი

ვიგრძნოთ დაავადება

ამერიკელმა მეცნიერებმა შეადგინეს იმ დაავადებათა სია, რომელთა დიაგნოსტირებაც „ელექტრონულ ცხვირს“ შეუძლია. სპექტრომეტრებს აქვთ უნარი, განსაზღვრონ ამოსუნთქულ ჰაერში სხვადასხვა მოლეკულების უმცირესი მინარევები. მოლეკულების შემადგენლობა დამოკიდებულია ფილტვებისა და საკვების დამუშავების სისტემის მუშაობაზე, მეტაბოლიზმის მდგომარეობაზე. ექიმებმა ისწავლეს, განსაზღვრონ ზოგიერთი დაავადება, როდესაც ანალიზს უკეთებენ ამ მინარევების შეხამებას.

„ელექტრონულ ცხვირს“ შეუძლია განსაზღვროს ფილტვების კიბო 99,5 პროცენტის სიზუსტით, თირკმლის უკმარისობა, რომლის დროსაც სუნთქვას შეიძლება ჰქონდეს ნიშადურის ნოტები; ამ ცოტა ხნის წინათ გადატანილი გულის უკმარისობა, დიაბეტი – მას თან ახლავს „ხილის სუნთქვა“. აგრეთვე, სიმსუქნის ზოგიერთი ფორმა, რომლებიც ელვისებურად ვითარდება ახალგაზრდობის დროს, მეტაბოლიზმის ამ სახიფათო მოშლილობის ნიშნები შეუმჩნეველი რჩება იმ ეტაპზე, როდესაც ის ნორმაში შეიძლება დაებრუნო.

მონათესავე სულები

ცოლ-ქმარი გენეტიკურად უფრო მეტად გვანან ერთმანეთს, ვიდრე ერთსა და იმავე პოპულაციიდან შემთხვევით შერჩეული ადამიანები, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა. თურმე, ადამიანები მეუღლეს მსგავსი დნმ-თი ირჩევენ.

მკვლევარებმა 825 თეთრი წყვილის გენომები შეისწავლეს. ანალიზმა აჩვენა, რომ ცოლქმრების გენომებში უფრო ნაკლები სხვაობა იყო, ვიდრე გამოკვლევის შემთხვევით შერჩეული მონაწილეების დნმ-ებში. პარტნიორის შერჩევამ, რაც ნაკარნახევია გენეტიკურად მსგავსი გენომის უპირატესობით, ყველა შემთხვევის თითქმის ერთი მესამედი შეადგინა.

ფორმაში არაა

ტკივილის სპაზმები, რასაც ქალი მენსტრუაციის დროს განიცდის, აუარესებს ყურადღებას და აქვეითებს შრომისუნარიანობას. ამერიკელი მეცნიერები სხვადასხვა მომენტებში ერთი თვის განმავლობაში აძლევდნენ ტესტებს ყურადღებიანობაზე 52 ჯანმრთელ ქალს. და გამოირკვა, რომ ტესტების შედეგები იყო გაცილებით დაბალი, როდესაც ქალები განიცდიდნენ სამენსტრუაციო ტკივილს. მათთვის უფრო რთული ხდებოდა გაეყოთ ყურადღება ორ პარალელურ დაავადებას შორის, მათ ხშირად უქვეითდებოდათ აკურატულობა ტესტების შესრულებაში ან მათს შესრულებაზე მეტი დრო სჭირდებოდათ.

ასე რომ, როდესაც მნიშვნელოვან საქმეს ისახავთ გეგმად, ნუ დაივიწყებთ გადახედოთ საკუთარი ორგანიზმის კალენდარს.

ხორცის მოყვარულთა რისკები

ცილოვანი ცხოველური საკვების მოყვარულებს უფრო ხშირად უვითარდებათ მე-2 ტიპის დიაბეტი, ვიდრე მცენარეული დიეტის მოყვარულებს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები, როდესაც ევროკავშირის მცხოვრებთა რაციონის დიდი გამოკვლევის სტატისტიკა დაამუშავეს.

მოზრდილი ადამიანი დღეში საშუალოდ დაახლოებით 90 გრამ სუფთა ცილას ჭამს. მათ კი, ვინც ამ ნორმაზე მეტს მიირთმევს, სხეულისადმი მასის გაზრდილი დამოკიდებულება შეენიშნებათ. მათს რაციონში ცილის გაზრდილ „დოზასთან“ ერთად მეტი ქოლესტერინი ხვდება. მაგრამ მთავარია, რომ ცილის ყოველი ზედმეტი 10 გრამი საკვებში დიაბეტის განვითარების რისკს 6 პროცენტით ზრდის.

კავშირი ცხოველური ცილების მოხმარებასა და დიაბეტს შორის განსაკუთრებით მკაფიოდ შეინიშნება ქალებში გასუქებით. მათ აძლევენ რეკომენდაციას, არ ჭამონ კვირაში ხორცის 1-2 პორციაზე მეტი, თევზი – კვირაში არაუმეტეს 3-4-ისა და ყოველდღე არ მოიხმარონ ცხიმიანი რძე და იოგურტები.

დიაბეტის სპეციალისტები ბოსტონში (აშშ) მოსახლეობის ჯანმრთელობის ჰარვარდის ინსტიტუტიდან გვირჩევენ უარი ვთქვათ ხორცის გადამუშავებულ ძეხვის ტიპის პროდუქტებზე, ვინაიდან სწორედ ამ საკვებიდან ცხოველური ცილა შედის ორგანიზმში ჭარბ ცხიმოვან მჟავებთან, ქოლესტერინთან და მარილის დიდ ოდენობასთან ერთად.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს!

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ფოტოფაქტი

ესპანეთის ქალაქ კასტილიო-დე-მურსიაში ყოველწლიურად ეწყობა გასაოცარი რიტუალები. დემონის მოკაზმულობის ადამიანი ახტება ლეიბებს, როლებზეც შარშან დაბადებული ჩვილები არიან. მიაჩნიათ, რომ ეს იცავს ბავშვებს ბოროტებისგან, ასუფთავებს მათ ყოველივე ცუდისაგან.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მოძალაძე სიდოროვა, გვითხარით, როგორ მოახერხეთ ამ სექსუალური მანიაკის დაკავება?

— აბა, რა გითხრათ? — დილისთვის იგი, რა თქმა უნდა, დაიღალა და...

* * *

— მამი, მასწავლებელმა ზამთრის შესახებ დაგვავალა საშინაო დავალების დაწერა, და როგორ დავწერო, — ზამთრობით მაღაზიაში ბევრი პალტო იყიდება თუ ბევრი პალტოები? — ეკითხება შვილი მიხოს.

— უმჯობესია, ზაფხულის შესახებ დაწერო! — ფიქრის შემდეგ უპასუხა მიხომ.

* * *

— მისმინე, შენი მანქანა 25 გრადუს ყინვაში იქოქება?

— აბა, რა ვიცი, კარს ვერ ვაღებ და...

ზამთრაში პეტკამ თევზაობა გადაწყვიტა. მივიდა და ყინულს ძალაყინით დაუწყო მტვრევა.

— აქ თევზი არ არის! — მოესმა ვიღაცის ხმა.

პეტკამ სხვაგან გადაინაცვლა და ახლა იქ დაიწყო ყინულის მტვრევა.

— აქ თევზი არ არის! — მოესმა ისევ.

პეტკამ კვლავ სხვაგან გადაინაცვლა.

— აქ თევზი არ არის!

— ვინა ხარ, კაცო, შენ? — განრისხდა პეტკა.

— ამ საციგურაო მოედნის დირექტორი.

* * *

ჩამოვარდა ნარკომანი მეცხრე სართულიდან, წამოდგა და ტანსაცმელს იფერთხავს.

— რა მოხდა? — ეკითხებიან ხმაურზე მოცვივნული ადამიანები.

— აბა, რა ვიცი. მეც ახლა მოვედი!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24